# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცჳლილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი-სამშაბათი, 11-12 ივლისი. 2022 წ. №89-90 (9427-9428) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


## ქართველთა „ურჩობის“ გამო



დიდი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის ეპოქის შემდგომ პერიოდში, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, საერთო აღიარებით, უწყვეტი დაღმავალი ტრაექტორიით ხასიათდებოდა. ნეგატიური შეფასებები ყველა მიმართულებას ეხება. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ვერ გამოდის შტამპებად ქცეული იმ ე.წ. სტანდარტებიდან, რომლებიც ათეული წლების წინ შემუშავდა სატელიტებად შერჩეულ ე.წ. განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობაში.

დღის მთავარი თემა

## ისევ „ვაშინგტონის კრემლის“ შესახებ

იხ. 3 გვ.



## დაპირისპირების „ცეცხლის ხაზზე“...



## ევროკავშირს ⑥ პოლარიზაციის ფესვებზე წარმოდგენაც არა აქვს!

## ქრისტიანის პოზიცია ⑨ დღევანდელ ვითარებაში

## განკულაკებას გვთხოვენ? ⑥

მაშინ ყველას ჩამოვართვათ ქონება, გადავცეთ მთავრობას და გამოვაცხადოთ კომუნიზმი!..

## რუსეთთან გარიგება თუ ② კონგრესმენის ცილისწამება?!



## ქართულ-ევროპული სამართლის აკადემიკოსი

იხ. 11 გვ.

ეროვნულ არქივში წიგნის „LIBER AMICORUM“ - მინდია უგრეხელიძე 80“ პრეზენტაცია გაიმართა

## პოეზიისთვის დაბადებულნი



ტარიელ ჭანტურია

საქართველოსთვის,
საქართველოსთვის,
საქართველოსთვის,
ბიჭებო, სწორდით!

ცირა შალაშვილი



არ გინდა, ამ სიბრძნე-სიცრუის ატანა?
ლექსებს წერს ღმერთიც და
ლექსებს წერს...
სატანაც..!

იხ. 7 გვ.

# პროკურატურა „მთავარისა“ და „ფორმულას“ ცრუ და განზრახ დამახინჯებულ გადაცემებს უტევს!



საქართველოს პროკურატურა, ტელეკომპანიების – „მთავარისა“ და „ფორმულას“ მიერ, გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძისა და უწყების სხვა პროკურორების ოჯახების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას განცხადებით ეხმაურება და მას ცრუსა და განზრახ დამახინჯებულს უწოდებს.

**„სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში, დეზინფორმაციის გავრცელება ზოგიერთი მედიასაშუალების ჩვეულ საქმიანობად იქცა და მათი მიზანი, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოების გამართული საქმიანობისთვის ხელის შეშლა, კონკრეტული თანამდებობის პირების დისკრედიტაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიმართულებით, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მომავალშიც მოვახდენთ პროაქტიულად საზოგადოების ინფორმირებას. სამწუხაროა, თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მედიასაშუალებები მსგავსი ცრუ და არასწორი ინფორმაციების გავრცელებისას უხეშად არღვევენ ჟურნალისტურ სტანდარტებს და ეთიკის ნორმებს, რის ნათელი მაგალითიც გუშინ გასული სიუჟეტებია. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, რომ ტელეკომპანია „მთავარი“ მათ მიერ მომზადებულ ე.წ. „სიუჟეტთან“ დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურს საერთოდ არ დაკავშირებია, არ უცდია ინფორმაციის გადამოწმება და უწყებისთვის არცერთი კითხვით არ მოუმართავს. რაც შეეხება ტელეკომპანია „ფორმულას“ - ტელევიზია რეპორტაჟის მომზადებამდე დაუკავშირდა პროკურატურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურს და ყველა დასმულ კითხვაზე მათ წერილობით მიეწოდათ ამომწურავი პასუხები. ასევე განემარტათ, რომ ინფორმაცია მათთვის საინტერესო პირებზე დეტალურად ასახულია თანამდებობის პირის საჯარო დეკლარაციაში და ეხელმძღვანელათ ამ ინფორმაციით. მიუხედავად ამისა, სიუჟეტის ავტორებმა არ გამოიყენეს თანამდებობის პირთა დეკლარაციებში არსებული საჯარო ინფორმაციები და რეპორტაჟში არ გააჟღერეს მათ კითხვებზე პროკურატურიდან მიღებული ვრცელი პასუხები, უწყების განმარტებები და შემოიფარგლნენ მხოლოდ ერთი ზოგადი ფრაზით, მაშინ როდესაც ჟურნალისტური სტანდარტებით, მათ სრულად უნდა გაეჟღერებინათ პროკურატურიდან მიღებული პასუხები. ცხადია, რომ ხსენებული ტელეკომპანიების მიერ სიუჟეტების მომზადების ფორმა და მათში გაჟღერებული ყალბი ინფორმაციის სიმრავლე, ცალსახად უსვამს ხაზს მათ არაობიექტურობასა და ინფორმაციის ცალმხრივად გაშუქების სურვილს“, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.**

**პროკურატურაში აცხადებენ, რომ აღნიშული დეზინფორმაციის ავტორების მიზანი საზოგადოებაში პროკურორებზე უარყოფითი განწყობის შექმნა, მათი იმიჯის შელახვა და საქართველოს პროკურატურის დისკრედიტაციაა.**

**უწყება მიუთითებს, რომ გენერალური პროკურორის მიერ შევსებულ საჯარო მოხელის დეკლარაციაში ყველაფერი ნათლად არის მითითებული და ჩანს ყველა ხარჯი და შემოსავალი, რომელიც სრულად არის ასახული და დასაბუთებული.**

**პროკურატურა ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული კამპანიის ავტორები პროკურატურისა და კონკრეტული პროკურორების საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ.**

**„ამასთან დაკავშირებითაც, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მსგავსი სიყალბეებითა და დეზინფორმაციებით ვერავინ მიაღწევს მიზანს; საქართველოს პროკურატურა გააგრძელებს კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას და თითოეული პროკურორის საქმიანობა, დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა სრულად იქნება დაცული საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ფარგლებში. მოვუწოდებთ, აღნიშნული და მსგავსი დეზინფორმაციის ავტორებს, თავი შეიკავონ ცრუ და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისგან. საზოგადოების ობიექტურად ინფორმირების მიზნით, თითოეული მსგავსი ყალბი ინფორმაციის გავრცელებას შესაბამისი პასუხი გაეცემა, მათ შორის, ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფის მოთხოვნით სამოქალაქო წესით სასამართლოსადმი მიმართვის გზით“,** – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

# პოლიციამ ავტომობილის ქურდობის ბრალდებით ერთი უკრაინელი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკრაინის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ვ.ფ. სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილი ქურდობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული უკანონოდ დაეუფლა 1993 წელს დაბადებული მ.მ.-ს კუთვნილ ავტომობილს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მყისიერად მოხდა ავტომობილის ადგილსამყოფელის დადგენა, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის იდენტიფიცირება და დაკავება.

# ელისო ბოლქვაძე: სადაც მუსიკაა, იქ პოლიტიკაც კრეატიულია!



**ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ პარლამენტში ერთი ნორმალური ინსტრუმენტი გვედირსოს,** – ამბობს კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე „მეტრონომთან“ საუბრისას. ელისო ბოლქვაძე პარლამენტში მუსიკალური ინსტრუმენტის განთავსების ინიციატივით ჯერ კიდევ 2020 წელს გამოვიდა. დეპუტატის განცხადებით, ახლაც იმავე აზრზეა.

**„ისევ იმ აზრზე ვარ. რაც უფრო ბევრი ვიარე პარლამენტებში, მივხვდი, რომ კარგად დამისვამს ეს საკითხი, ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ ერთი ნორმალური ინსტრუმენტი გვეღირსოს აქაც და ღია და დემოკრატიული პარლამენტის ფარგლებში, ძალიან კარგი, სასიამოვნო დემოკრატიული საღამოები და დღისით კონცერტები ჩაგვეტარებინოს. ვინც გამაკრიტიკა, იმას კიდევ ერთხელ ვეტყვი, რომ სადაც მუსიკა და ხელოვნებაა, იქ პოლიტიკაც მეტად კრეატიულია“,** – თქვა ბოლქვაძემ.

# ბრიტანეთში პრემიერობის მსურველთა რისკვი იზრდება

**დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის მდივანი გრანტ შეპსი კონსერვატიული პარტიის ლიდერისა და მთავრობის მეთაურის პოსტისთვის რბოლაში მიიღებს მონაწილეობას.** ტრანსპორტის მდივანმა თავისი სურვილის შესახებ განცხადება The Sunday Times-თან ინტერვიუში გააკეთა. პოლიტიკოსის თქმით, თუ ის გაიმარჯვებს, ახალ თანამდებობაზე მუშაობის პირველი 100 დღის განმავლობაში, მოამზადებს საგანგებო ბიუჯეტის პროექტს, რათა შეამციროს გადასახადები მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენებისთვის.

**„ორწელიწადნახევარი გვყავდა ტაქტიკების მთავრობა... ეს უნდა დასრულდეს. ჩვენ უნდა გავხდეთ სტრატეგების მთავრობა“,** – მიიჩნევს ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსი. ცოტა ხნით ადრე, ბრიტანულმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ კონსერვატიული პარტიის ლიდერისა და მთავრობის მეთაურის პოსტისთვის რბოლაში მონაწილეობას ფინანსთა მინისტრი ნადიმ ზაჰავიც მიიღებს. დღესვე ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის მდივნმა ბენ უოლასმა, რომელსაც მაღალი შანსი ჰქონდა, ბორის ჯონსონის მემკვიდრე გამხდარიყო, უარი თქვა ამ რბოლაში მონაწილეობაზე.

# რუსეთთან გარიგება თუ კონგრესმენის ცილისწამება?!



ამერიკელმა კონგრესმენმა, ვიქტორია სპარცმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ანდრეი ერმაკთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრისკენ, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს კი თავშეკავებისკენ მოუწოდა. ამის შესახებ ამერიკელმა კონგრესმენმა საკუთარ გვერდზე დაწერა.

**„მე ვიცი, რომ პრეზიდენტი ზელენსკი სახიფათო ომს აწარმოებს ვერაგი მტრის წინააღმდეგ. ის დიდ დროს ხარჯავს საერთაშორისო მხარდაჭერის შესაქმნელად თავისი ქვეყნის დასაცავად, მაგრამ მას აქვს მუდმივი შიდა პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრას – პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი“,** – აცხადებს სპარცი.

სპარცმა ასევე აღნიშნა, რომ იღებს მხარდაჭერას ამერიკელებისა და უკრაინელებისგან და ესმის, რატომ გააკვირვა მისმა კომენტარებმა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**„მოვუწოდებ სამინისტროს, განიხილოს ჩემი განცხადება იმ სერიოზულობით, როგორსაც მოითხოვს ბატონ ერმაკთან დაკავშირებული საკითხები, ჩემზე თავდასხმების ნაცვლად, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. უკრაინელები და ამერიკელები უკეთ იქნებიან, თუ ჩვენი მთავრობები ამას უპასუხებენ სათანადო გულმოდგინებით და არა თავდაცვითი ბანალურობით.**

ჩამოვთვლი ერმაკის წინააღმდეგ არსებულ რამდენიმე სერიოზულ ბრალდებას, რათა მან ამას პირადად უპასუხოს:

**1. უკრაინის მიერ „ვაგნერის დაჯგუფების“ ხელში ჩაგდების ოპერაციის შესახებ ინფორმაციის გაჟონვა ბელარუსში და, საბოლოო ჯამში, რუსეთში, რამაც ოპერაციის მარცხი გამოიწვია;**

**2. ომამდე რუსეთთან წარუმატებელი სამშვიდობო მოლაპარაკებების ცუდი მართვა;**

**3. უკრაინის ხელისუფლების დარწმუნება იმაში, რომ მიმდინარე წლის თებერვალში, დასავლური დაზვერვების მიერ მოპოვებული ინფორმაციის საპირისპიროდ, რუსეთი უკრაინაში არ შეიჭრებოდა, რისი მიზანიც იყო, რომ უკრაინა ომისთვის სათანადოდ არ მომზადებულიყო;**

**4. საბოტაჟი ხერსონში და მისი გადაცემა რუსებისთვის „აზოვის“ ბატალიონის ტრაგედიის მოსაწყობად;**

**5. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მეშვეობით აუცილებელი სამხედრო ტექნიკის შეძენის გაჭიანურება და უსაფუძვლო, ზოგჯერ უკანონო პირობების წამოყენება;**

**6. მოადგილე ოლეგ ტატაროვის მეშვეობით დამოუკიდებელი ანტიკორუფციული პროკურორის დანიშვნის განზრახ გაჭიანურება“,** – წერს ვიქტორია სპარცი.

კონგრესმენმა ვიქტორია სპარცმა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს წერილი გაუგზავნა, სადაც უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ადმინისტრაციის უფროსთან, ანდრეი ერმაკთან დაკავშირებული ზედამხედველობის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიღება მოითხოვა. ამის საპასუხოდ უკრაინის საგარეო უწყებამ ვიქტორია სპარცი აშშ-ის პოლიტიკაში რუსული პროპაგანდის კლასიკური ნარატივების დაბრუნების მცდელობაში დაადანაშაულა.



## ისევ „ვაშინგტონის კრემლის“ შესახებ



# დაპირისპირების „ცეცხლის ხაზზე“...

**ქართველ საზოგადოებაში იმედგაცრუება საქართველოში ევროკავშირისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მიმართ დღითიდღე მატულობს.**

ყველა ნორმალური ქართველისთვის, ანუ ყველა არანაცისთვის, **პროდასავლურობა ჩვენს ქვეყანაში დასავლური ღირებულებების** (დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფალი ბაზარი, საკუთრების ხელშეუხებლობა,..) **დამკვიდრებას ნიშნავს, იმ წესებით ცხოვრებას ნიშნავს, რაც დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს თავისი მოქალაქეებისთვის სურთ.**

**ნაცპარტიისთვის პროდასავლურობა დასავლეთის პოლიტიკური მამების დავალებების ბრმა აღსრულებას გულისხმობს, ერთადერთი პირობის, თავის ქვეყანაში შეუზღუდავი ბოგინის სანაცვლოდ.** ჩემ მიერ „ნორმალურ ქართველებად“ სახელდებულმა საზოგადოებამ დიდი ხნის წინ „აღმოაჩინეთ“, რომ **ნაცპარტიის დამოკიდებულება იმ დამოკიდებულების პირდაპირი ანარეკლია, რაც ამერიკის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს გააჩნია ჩვენ მიმართ(?!).** პოლიტიკის თეორეტიკოსები ამას **ნეოკოლონიალიზმს** უწოდებენ.

„ქართულ-ამერიკული ურთიერთობის“ აღნიშნული ფორმის „სიკეთეები“ ერთხელ უკვე ვიწვნიეთ საკუთარ თავზე 2003-2012 წლებში, ამიტომ, **იმავე მდინარეში მეორედ შერევის მცდელობებს არავითარ შემთხვევაში აღარ დავუშვებთ.** წესით, ამერიკელი „მეგობრები“ ამას უნდა ხვდებოდნენ, მაგრამ... როგორც უკვე არაერთხელ ითქვა — **კრემლი კრემლია, გინდა მოსკოვის იყოს და გინდა — ვაშინგტონის.**

დიდი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის ეპოქის შემდგომ პერიოდში, **აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, საერთო აღიარებით, უწყვეტი დაღმავალი ტრაექტორიით ხასიათდებოდა.** ნეგატიური შეფასებები ყველა მიმართულებას ეხება. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ვერ გამოდის შტამპებად ქცეული იმ ე.წ. სტანდარტებიდან, რომლებიც ათეული წლების წინ შემუშავდა სატელიტებად შერჩეულ ე.წ. განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობაში.

**უკრაინის კრიზისი, დღევანდელი გადასახედიდან, დასავლური პოლიტიკის ჩავარდნის მორიგი მკაფიო გამოხატულებაა.** აღნიშნული კრიზისი, თანდათან, ბევრ რამეს არქმევს თავის სახელს, მათ შორის საქართველოშიც. ამ კონტექსტში, თავს ერთი ხმამაღალი განცხადების უფლება მინდა მივცე:

**რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად შექმნილი ვითარებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოში დასაბამი მიეცა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ახალ ეტაპს.** პირველად, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, საქართველოს ხელისუფლებამ და ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ ერთმნიშვნელოვანი უარი თქვა სტრატეგიულ პარტნიორებად აღიარებული სახელმწიფოებისა და ინსტიტუციების გადაწყვეტილებების ბრმა მორჩილებაზე. ხაზგასმით ითქვა, რომ **არ გადაიდგმება არცერთი ნაბიჯი, რომელიც ზიანს მოუტანს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.**

მიუხედავად იმისა, რომ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ უჭირთ აღნიშნულთან შეგუება, ჩვენი დამოკიდებულება ურყევია. **ეს არ არის უბრალოდ გადაწყვეტილება, ეს არის ბრძოლით გასატანი შინაგანი მოთხოვნილება,** ლტოლვა თავისუფლებისკენ. მეხუთე თვეა უკომპრომისო დაპირისპირების „ცეცხლის ხაზზე“ ვიმყოფებით, შინაურთან თუ გარეშესთან.

ქართველთა „ურჩობის“ გამო, მძიმე დავალებების ვერშესრულებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი კელი დეგნანი ემოციებს ველარ მალავს და შეცდომას შეცდომაზე უშვებს. (ჩაგრული ხალხების იმედის სტატუსის მატარებელ სახელმწიფოს ასეთი კვალიფიკაციის, ანუ სრულიად არაკვალიფიციური ელჩის ყოლა მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანაში, უბრალოდ, არ ეკადრება).

**მიხეილ ყაველაშვილის ღია წერილით ქალბატონი კელი კუთხეში მომწყვდეულის მდგომარეობაში აღმოჩნდა,** რაც, ბუნებრივია, არ ესიამოვნა და იხელმძღვანელა რა მაშრიყიდან მაღრიბამდე „ამერიკელის შეუზღუდავი უფლებით“, თავხედობიდან უზრდელობაზე გადავიდა.

ცხოვრების წესია, თუ შეცდომას, ან ნებისმიერი სახის მარცხს დროულად არ აღიარებ, უფრო ღრმად ეფლობი მის ჭაობში. საქართველოს ხელისუფლების მიერ, ამა თუ იმ უკრაინელი და ქართველი სუბიექტებისგან ქვეყნის ომში ჩათრევის მცდელობების მხილების შემდეგ, ქალბატონ დეგნანს ზოგადად რომ დაეგმო ყველა მსგავსი გამოვლინება, რა საკვირველია, მის გულწრფელობაში ეჭვი ნამდვილად შეგვეპარებოდა, მაგრამ სათქმელი არაფერი გვექნებოდა. **დიპლომატიისგან ძალიან შორს მყოფმა ოფიცერმა დეგნანმა, ეტყობა, ამგვარი რეაგირება სისუსტის გამოვლინებად მიიჩნია და... „ეს ხომ რუსული ნარატივიაო?..“**

კარგი მეთოდია, ღმერთმანი!.. **თუ „დასავლელს“ შეურაცხყოფაზე, ტყუილზე, ცილისწამებაზე, არასამართლიან გამოხტომებზე თავს არ წაუხრი და ფეხქვეშ არ გაეგები, რუსული ინტერესის გამტარებლის იარლიყი არ აგცდება.** არადა, რა ამაყი ვიყავი, ევროპარლამენტის სამარცხვინო ე.წ. რეზოლუციაზე „ოცნების“ ლიდერებმა რომ განაცხადეს, ამ დოკუმენტს ჩალის ფასი აქვს, რადგან მთლიანად „ფეიკს“ წარმოადგენსო. ამაყი ვარ დღესაც, მიხეილ ყაველაშვილის ღია წერილს რომ ვკითხულობ.

> კიდევ ერთხელ გავიმეორებ — საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ახალ ეტაპზე გადადის. **ან დავარწმუნებთ მტერსაც და მოყვარესაც, რომ საქართველო არასდროს არავის კოლონია აღარ იქნება და ჩვენს მოქალაქეებს ისეთივე ღირსებით უნდა მოეპყრან, როგორც საკუთარ მოქალაქეებს ეპყრობიან, ან... მოგვიწევს იმ დამამცირებელ როლში დაბრუნება, რაც გვქონდა მონღოლური თუ რუსული კოლონიალიზმის ეპოქებში.**

**მიხეილ ყაველაშვილი და მისი ორი თანამოაზრე, სოზარ სუბარი და დიმიტრი ხუნდაძე, დარწმუნებული ვარ, მალე მივლენ იმ კონდიციამდე, როცა აუცილებელი გახდება და დღის წესრიგში დადგება დესტრუქციული, არეულობაზე ორიენტირებული, ანტისახელმწიფო სუბიექტების დაფინანსების აკრძალვის მოთხოვნა(!).**

ამერიკის ბიუჯეტიდან საქართველოში მოქმედი ე.წ. არასამთავრობოების, ე.წ. ექსპერტების, მედიის ზოგიერთი წარმომადგენლის, ქართველი ხალხის მიერ რვაგზის ნდობაგამოცხადებულ ხელისუფლებასთან შეურიგებელ დაპირისპირებაში მყოფი სხვა სუბიექტების დაფინანსება **პოლიტიკაზე აშკარა, პირდაპირი ზემოქმედებაა** და დიდი ხანია, **უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევის კვალიფიკაციას იმსახურებს(!).**

**ბიძინა დვალი**
09.07.2022 წ.



**დიდი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის ეპოქის შემდგომ პერიოდში, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, საერთო აღიარებით, უწყვეტი დაღმავალი ტრაექტორიით ხასიათდებოდა. ნეგატიური შეფასებები ყველა მიმართულებას ეხება. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ვერ გამოდის შტამპებად ქცეული იმ ე.წ. სტანდარტებიდან, რომლებიც ათეული წლების წინ შემუშავდა სატელიტებად შერჩეულ ე.წ. განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობაში.**

## ძვირფასო დასავლეთელო მეგობრებო!

დღევანდელი ქართველი ხალხი — „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხარდამჭერი ამომრჩევლის მინიმუმ 70 პროცენტი, არცერთ ნაბიჯს არ გადადგამს საქართველოს ეროვნული ინტერესების, ეროვნული მიზნების საწინააღმდეგოდ!

გემუდარებით, დაგვეხმარეთ ამ მიზნების აღსრულებაში და თავი დაანებეთ ბრიყვი, არამზადა, საკუთარი სამშობლოს გამყიდველი ოპოზიციის და არასამთავრობოების დაფინანსებასა და პოლიტიკურ მეურვეობას!!



**მოძრაობა, რომელიც საქართველოს ევროპული კურსის მხარდასაჭერად შეიქმნა, პოლიტიკურ ამბიციებს აღარ მალავს – მოძრაობა „შინ ევროპისკენ“ შესაძლოა პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნას.**



# „შინ ევროპისკენ“ თუ... „შინ პარტიისკენ“?!

მოძრაობის აქტივისტები ჯერ ღიად არ საუბრობენ, გააგრძელებენ თუ არა პარტიულ საქმიანობას, თუმცა საიას თავმჯდომარემ, **ნიკა სიმონიშვილმა** ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა, რომ ახალი პოლიტიკური ჯგუფი შესაძლოა, საზოგადოებამ უახლოესი კვირების განმავლობაში იხილოს.

პოლიტიკურ მოედანზე ახალი მოთამაშის გამოჩენას ოპოზიცია მიესალმება და მათგან აქტივობებს ელის. „ქართული ოცნებისთვის“ კი ნიკა სიმონიშვილის განცხადება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ „შინ ევროპისკენ“ რეალურად ოპოზიციური პარტიების დანამატი იყო და ახალ პოლიტიკურ ჯგუფს კრახს უწინასწარმეტყველებს.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ამბობს, რომ მოძრაობა „სირცხვილია“ და სხვა ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები არანაირ დამოუკიდებელ ფლანგს არ წარმოადგენენ და ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთაა. გვენეტაძე აცხადებს, რომ მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც პოლიტიკური სუნი აქვს, რა ბრძანებასაც გასცემს, იმას ასრულებენ. სწორედ 3 ივლისს მოხდა ამ ადამიანების თავის გამასხარავება, როცა პოლიტიკურად გაბანკროტებულ სააკაშვილს დაუჯერეს და ტექნიკური მთავრობის მოთხოვნის გამო ხალხი ხელიდან შემოეცალათ.

**„ესენი ყველანი გამასხარავებული და ხალხის თვალში გაკოტრებული ადამიანები არიან. ამიტომაც ახლა იძულებულები გახდნენ, ბოლოს და ბოლოს თქვან ვინც არიან, რეალურად რას წარმოადგენენ და მათ უკან რა მიზნები და ძალები დგას. ამდენ ხანს თავს ე.წ. სამოქალაქო სექტორს აფარებდნენ და თამაშობდნენ, ვითომ მესამე სექტორის წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა რადგან აქციაზე პოლიტიკური მოთხოვნები გააჟღერეს, ყველას გაუჩნდა კითხვა – ვინ იყო ეს ხალხი, რატომ აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს და რა მთავრობას აყალიბებდნენ?**

**ვფიქრობ, უბრალოდ, მათ დამალვას აზრი არა აქვს და დღის სინათლეზე გამოსვლა გადაწყვიტეს. სადმე გინახავთ, პოლიტიკური პარტია მიტინგს ატარებდეს და ხალხის შიშით სცენაზე არ ადიოდეს? იმალებოდეს იმის გამო, რომ აქცია არ დაუშალონ? ახლაც იგივე ხდება. გასაცოდავებულ, გაკოტრებულ „ნაციონალებს“ ახალი სახეები სჭირდებათ და ამიტომ ასპარეზზე ამ ხალხის პოლიტიკურ პარტიად გამოყვანას ცდილობენ. თუმცა აქაც მწარედ ცდებიან, რადგანაც 3 ივლისს თავის გამასხარავებამ ეს ხალხი სრულიად გააკოტრა და ხალხი მათ არც ერთ ნათქვამს აღარ დაიჯერებს“, – აცხადებს გვენეტაძე.**

**მისივე თქმით, საინტერესოა. არჩევნებში მონაწილეობას ვისი სახელით მიიღებენ. თუ „სირცხვილიას“ სახელწოდებით გამოსვლას აპირებენ, მით უარესი, რადგანაც ხალხის ასე უგზო-უკვლოდ ტრიალის გამო, მართლა შერცხვენილები არიან. „მგონია, ქართველი ხალხი ბრძენია, ამიტომ „ნაციონალების“ სატელიტები, მასზე დამოკიდებული შვილობილი რაღაცა მოძრაობები ვერანაირ პოლიტიკურ დღის წესრიგს ვერ შეადგენენ. 3 ივლისს აქცია ფაჩიკოს გარმონივით დაეშალათ. ხალხში ნული რეიტინგი აქვთ. ეს ადამიანები ვინც მაშინ აქციაზე მივიდა, სულ სხვა იდეის გარშემო იყვნენ გაერთიანებულები და არა მოძრაობა „სირცხვილიას“ გარშემო. ამიტომ ამ ხალხს ვინ რას ეუბნება და რატომ აგულიანებენ პოლიტიკაში შემოდითო, კარგად ვხვდებით. სახედაკარგული ნაციონალები მათ პოლიტიკური გათეთრებისთვის იყენებენ, რაც ვნახეთ, არ გამოუვიდათ“,** – ამბობს გვენეტაძე.

ანალიტიკოსი **ლევან გიგინეიშვილი** აცხადებს, რომ მოძრაობა „სირცხვილია“ ჩვეულებრივი სახეცვლილი „კმარაა“, რომელსაც საზოგადოებაში არანაირი გავლენა არა აქვს. ეს არის უბრალოდ გადაკეთებული „კმარა“, რომლებიც რა სახის მოძრაობასაც წარმოადგენდნენ ყველას გვახსოვს. შესაბამისად, რატომ გაუჩნდათ პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია მისთვის გაუგებარია, რადგანაც 3 ივლისის კრახის შემდეგ, საზოგადოებაში რეიტინგი კი არ მოემატათ, პირიქით, მათი დეგრადაცია მოხდა.

**„ეს ხალხი ძალიან ცუდ მსოფლმხედველობაზე დგას და ეს არაერთხელ კარგად გამოჩნდა. ახლა აცხადებენ, რომ რაღაცა ქუჩაში სირბილს, სადღაც მივარდნებს და პროვოკაციების მოწყობას გეგმავენ. ეს არის ჩვეულებრივი „კმარას“ სახეცვლილი მოძრაობა, რომლის უკანაც ვინც დგას, კარგად ვხედავთ. ამ ხალხის მთავარი სტრატეგია და მეთოდოლოგია ძალაუფლების შეცვლაა, რომელსაც ნებისმიერ ფასად იზამენ. ამიტომაც ეს ხალხი ჩემთვის ძალიან მიუღებელი ძალაა. ვხედავთ, რომ აკერმანის მეთოდოლოგიასაც იყენებენ და ამ კაცის მიერ არიან დატრენინგებულები, თუმცა რის საფუძველზე ასკვნიან, რომ პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ და დიდ წარმატებას მიაღწევენ, არ ვიცი. არაა გამორიცხული „ნაციონალურ მოძაობას“ მათი სახით გარკვეული გეგმები ჰქონდეს და 2024 წლის არჩევნებისთვის გამოიყენოს. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, რატომ ჰგონიათ, რომ ხალხში ამ ადამიანებს რამე ავტორიტეტი აქვს, წონა აქვს, არ ვიცი“,** – აცხადებს ანალიტიკოსი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# შეაჩერე რუსეთი ახლავე!..



# პოლონეთის პრემიერის განცხადება არასასიამოვნო იყო!

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, **მატეუშ მორავეცკიმ** გამოცემა Polska Times-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ დასავლური საზოგადოებრივი აზრი ნელ-ნელა იღლება უკრაინის ომის თემით. დასავლურმა საზოგადოებებმა უნდა გაიგონ, რომ ეს ომი ასევე მათი უსაფრთხოებისთვისაა.

**„დასავლური საზოგადოებრივი აზრი ნელ-ნელა იღლება ამ თემით. სწორედ ამიტომ, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა რუსების მიერ უკრაინაში ჩადენილი დანაშაულების მასშტაბები მრავალი აქტივობით, მათ შორის ფართომასშტაბური აქციით „შეაჩერე რუსეთი ახლავე“. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დასავლურმა საზოგადოებებმა უნდა გაიგონ, რომ ეს ომი ასევე მათი უსაფრთხოებისთვისაა. ვშიშობ, რომ მომდევნო თვეები უფრო მეტ გულგრილობას მოიტანს და ეს უაღრესად საშიში ფენომენია. სამწუხაროდ, პუტინსაც ამის იმედი აქვს“. პოლონეთის პრემიერის თქმით, დღეს მისი მთავარი საზრუნავი უკრაინის მხარდაჭერაა საერთაშორისო დახმარების ორგანიზებითა და იარაღის მიწოდებით, ვინაიდან ჟანგიანი რუსული ტექნიკა უკრაინაში წინსვლას განაგრძობს.**

**„სევეროდონეცკი პრაქტიკულად რუსეთის ხელშია, ლისიჩანსკისთვის სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს. სამწუხაროდ, უკრაინიდან სიგნალები სულ უფრო პესიმისტური ხდება. დასავლეთის უამრავი ქვეყნიდან დახმარება ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა. დასავლეთიდან საარტილერიო-სარაკეტო სისტემებისა და ჰაუბიცების მიწოდება ძალიან ნელა მიმდინარეობს. ძალიან ბევრი მათგანი ჯერ კიდევ განცხადებების დონეზეა. ეს ომი საარტილერიო ომია. უკრაინას სჭირდება არტილერია“,** – აღნიშნა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა.

საგარეო ურთიერთობის საკითხებში ცნობილი ექსპერტის **ვალერი ჩეჩელაშვილის** განცხადებით, პოლონეთის პრემიერს, **მატეუშ მორავეცკის** მიზეზი ჰქონდა აღნიშნული განცხადების გაკეთების. მისივე თქმით, სანქცირებული პოლიტიკა გარკვეულ სირთულეებს ქმნის.

**„დასავლეთში უკრაინის ომი უკანა პლანზე არ გადაწეულა. როგორც ჩანს, პოლონეთის პრემიერს მიზეზი ჰქონდა აღნიშნული განცხადება გაეკეთებინა. ომი დაძაბულობასა და სირთულეს ყოველთვის ქმნის. სწორედ, სანქცირებული პოლიტიკის გამო ევროპის ქვეყნები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან. მაინც, ვფიქრობ, ბოლო მნიშვნელოვანმა შეხვედრებმა, როგორიც დიდი შვიდეულის, ასევე ნატოს შეხვედრებმა დაადასტურეს, რომ დასავლეთის მხრიდან უკრაინის მიმართ ურყევი მხარდაჭერაა. ევროპის სახელმწიფოს მეთაურების განცხადებებიდან ჩანს, რომ უკრაინას იმდენი ხანი დაეხმარებიან, ვიდრე საკუთარ ტერიტორიებს არ გაათავისუფლებს. კიდევ მნიშვნელოვანია ერთი საკითხი – ვიდრე უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში არ აღდგება და ყირიმი არ დაუბრუნდება, იქამდე რუსეთი სანქცირებული იქნება“,** – აღნიშნა **ვალერი ჩეჩელაშვილმა.**

მისივე თქმით, დასავლეთის პასიურობით პუტინი ვერ იხეირებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შესაძლებლობა უსაზღვროა.

**„რუსეთი ცნობილია თავისი შესაძლებლობებით და საზოგადოების მანიპულირებით. ამაზე ფულსაც ხარჯავს და ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეებს ქრთამავს კიდეც. ბუნებრივია, თუ დასავლეთი იპასიურებს, პუტინს ამაზე პასუხი ექნება. მთავარია, დასავლეთმა უკრაინისთვის იარაღის მიწოდება არ შეწყვიტოს და დროულად მიაწოდოს. ამ ომში გარდატეხა რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, რათა ევროპა დროულად მიხვდეს, რომ მხოლოდ დროული იარაღის მიწოდებით შეიძლება დასრულდეს ომი“,** – განაცხადა ჩეჩელაშვილმა.

ანალიტიკოსი **ირაკლი მენაღარიშვილი** იმედს იტოვებს, რომ დასავლეთი უკრაინის ომით არ დაღლილა. მისივე თქმით, თუკი დასავლეთში უკრაინის ომი მეორე პლანზე გადავა, ამას ვლადიმერ პუტინი სათავისოდ გამოიყენებს.

**„პოლონეთის პრემიერის განცხადება არასასიამოვნო იყო. ბუნებრივია, ამის სათავისოდ გამოყენებას პუტინი შეეცდება. იმედი მაქვს, მთლად ასე არის და დასავლეთი უკრაინის ომით არ დაღლილა. თუ ასეთი რამ არსებობს, ეს ნიშნავს, რომ დასავლეთში ომის საშინელებაზე საზოგადოებრივი აზრი ვეღარ რეაგირებს“,** – აღნიშნა **ირაკლი მენაღარიშვილმა.** მისივე თქმით, საქმე იქამდე არ მივა, რომ რუსეთმა მთლიანი უკრაინის ოკუპაცია შეძლოს.

**„პუტინს ბევრი მექანიზმის ამუშავება არ დასჭირდება. თუ დასავლეთის მხრიდან უკრაინის მხარდაჭერა შემცირდება, ეს პუტინს ხელს აძლევს. საქმე არ მგონია იქამდე მივიდეს, რომ რუსეთმა მთლიანი უკრაინა ხელში ჩაიგდოს, მაგრამ თუ ეს პროცესი ღრმად წავიდა, ამის საშუალება ექნება“,** – აღნიშნა ანალიტიკოსმა.

**ქეთი გიორგაძე**

# საუკეთესო ქართული სტუდენტური თარგმანები





## გამარჯვებულებს ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდო გადაეცათ

**პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საუკეთესო ქართული სტუდენტური თარგმანების კონკურსში გამარჯვებულებს ორბელიანების სასახლეში ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდო გადასცა.**

კონკურსში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ კონკურსის მიზანია ახალგაზრდებს შორის მთარგმნელობითი საქმიანობის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინიციატივების წახალისება.

**ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდო ორ ნომინაციაში დაწესდა: პროზაული ნაწარმოების ქართული თარგმანისთვის და სამეცნიერო ნაშრომის ქართული თარგმანისთვის. საუკეთესო თარგმანებისთვის დაჯილდოვდნენ სტუდენტები: გიორგი ხულორდავა, გიორგი გაბელია, ელენე ელიოზიშვილი და ვალერი ოთხოზორია.**

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სტუდენტებს კონკურსში გამარჯვება მიულოცა და ხაზი გაუსვა მთარგმნელობითი საქმიანობის მნიშვნელობას. მან იმედი გამოთქვა, რომ ახალგაზრდები ასეთივე წარმატებით მომავალშიც გააგრძელებენ ამ საქმიანობას.

**„საქართველოს სახელმწიფო და კულტურა თარგმანით იწყება. თუ არა ბიბლიის თარგმანები და შემდეგ მთელი ლიტერატურული თარგმანები, ჩვენ ეს საქართველო არ ვიქნებოდით. ჩვენ გვჭირდება თარგმანი იმისთვის, რომ ჩვენი კულტურა გავაცნოთ და ასევე, ქვეყანაში სხვისი კულტურა შემოვიტანოთ, გავეცნოთ და გავიზიაროთ. ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები — ილია, ვაჟა, ზვიად გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ამავე დროს თარგმნიდნენ. ეს იმას უსვამს ხაზს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თარგმანი. და ძალიან მიხარია, რომ ეს ინიციატივა მივიღე და წამოვიწყეთ. მიხარია, რომ არიან სტუდენტები და მათ დაიმსახურეს ეს პრემია. ეს კონკურსი არ იქნება ერთჯერადი და მომავალ წელსაც ჩატარდება.**

**მომავალ წელს გვსურს, რომ პრემია ასევე გავცეთ არა მხოლოდ ქართულ ენაზე თარგმანებისთვის, არამედ ასევე ქართულიდან სხვა ენებზე თარგმანებისთვის. ვიცი, რომ ეს უფრო რთულია, მაგრამ ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ასევე ძალიან დიდი მიღწევები გვაქვს მეცნიერებაში და მეცნიერული ლიტერატურის თარგმანი ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ჩვენი ევროპელობა დავანახოთ მათ, ვისაც ჯერ არ დაუნახავს და ჩვენ თავსაც დავანახოთ, რადგან ზოგჯერ ჩვენ თვითონ არ ვიცით, თუ რამდენად მდიდარია ჩვენი ლიტერატურა ყოველმხრივ და ყველა დარგში“,** — აღნიშნა პრეზიდენტმა.



# სტუდენტური ფესტივალი — 2022

## წარმატებებით გევლოთ საქართველოს აღმშენებლობის გზაზე!

**ის სიხარული, რაც ქართული საგანმანათლებლო სივრცის 34 უმაღლესი სასწავლებლის 50 ათასზე მეტმა სტუდენტმა ფესტივალის მიმდინარეობისას განიცადა, არის წარუშლელი შთაბეჭდილებებით, სიხარულით და ემოციებით სავსე — ეს იყო ქართული სულის ზეიმი! — მადლობა ორგანიზატორებს და ფესტივალის მხარდამჭერს, თბილისის მერიას! დასრულდა ერთი და მალე დაიწყება სხვა, უფრო მეტი ემოციებით სავსე, რომელსაც ისევ თბილისის მერია დაუჭერს მხარს!**

**„გუშინ ერთი ძალიან კარგი პროექტი — „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022“, დასრულდა!**

გუშინ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ღირსეული პირველი ადგილი აიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად — ვულოცავ გამარჯვებულებს!

**„იყავით დარწმუნებული, რომ დედაქალაქის მერია, მუნიციპალიტეტი ყოველთვის გვერდით დაგიდგებათ საინტერესო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. იაქტიურეთ, წარმოადგინეთ სხვადასხვა პროექტი, რომლის განხორციელებასაც ერთად შევძლებთ“,** — კახა კალაძე.

თბილისის მერია ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის! თბილისის მერი საქართველოს მომავალი თაობისათვის!

**„მინდა, თითოეულ თქვენგანს გისურვოთ წარმატებები თქვენს საქმიანობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ალბათ იცით, რომ 2022 წელი ევროკავშირმა ახალგაზრდობის წლად გამოაცხადა. შესაბამისად, დღევანდელი ღონისძიების სლოგანია — „ახალგაზრდები ევროპისკენ“. რა თქმა უნდა, ევროპა არის ის მთავარი, რომლის ირგვლივაც ვართ გაერთიანებული თითოეული ჩვენგანი. ჩვენი მისწრაფება, ყოველდღიური ქმედებები მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენი ულამაზესი ქვეყანა გახდეს იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც ევროპა და ევროკავშირი ჰქვია. კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე. მინდა, გისურვოთ წარმატებები“,** — კახა კალაძე.

**ეს არ არის პირველი პროექტი, რომელსაც კახა კალაძემ მხარდაჭერა გამოუცხადა, ისევე, როგორც არ იქნება ბოლო.**

**თბილისის მერია ასობით წარმატებულ სტუდენტს უფინანსებს სასწავლო პროცესს!**

**თბილისის მერია ყოველთვის გვერდით უდგას სოციალურად დაუცველ სტუდენტებს!**

**თბილისის მერიამ 4 წლის განმავლობაში 745 წარჩინებულ მაგისტრანტს სტიპენდია დაუნიშნა!**

**კიდევ მრავალი პროექტის ჩამოთვლა შეიძლება და ეს „შორს წაგვიყვანს“, ამიტომ ისევ გუშინდელ დღეს დავუბრუნდები — „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022“ — ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო იყო.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების, უნივერსიტეტის რექტორის დავით გურგენიძის და ადმინისტრაციის სახელით მადლობას ვუხდი თბილისის მერს, კახა კალაძეს და წარმატებებს ვუსურვებ!**

**ჩვენს სტუდენტებს, იმ გუნდებს, რომელთაც კიდევ ერთხელ ასახელეს მშობლიური უნივერსიტეტი, უღრმესი მადლობა!**

**წარმატებებით გევლოთ საქართველოს აღმშენებლობის გზაზე!“**

**დავით ოქიტაშვილი**

# ელირსება წყალტუბოს ახალი სიცოცხლე?!

**მთავრობა „წყალტუბოს ახალი სიცოცხლის“ ფარგლებში 14 სანატორიუმის გასხვისებას გეგმავს, რომელთა ღირებულება, დღევანდელი შეფასებით, დაახლოებით 50 მლნ ლარს შეადგენს. 5 ივლისს წარდგენილი 14 საინვესტიციო პროექტი სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საპრივატიზაციოდ 6 ივლისს უკვე გამოიტანა და საგანგებო პირობიანი აუქციონები 4 აგვისტოს 17:00 საათამდე გაგრძელდება. ელექტრონული აუქციონი უკვე მიმდინარეობს.**

როგორც ეკონომიკის მინისტრი **ლევან დავითაშვილი** აღნიშნავს, მას რამდენიმე ინვესტორთან საუბარი უკვე ჰქონდა, რომლებიც წყალტუბოს ობიექტების შეძენითა და ინვესტიციების განხორციელებით არიან დაინტერესებულნი.

**„14 საპრივატიზაციო ობიექტი უკვე გამოტანილია ელექტრონულ აუქციონზე. ვფიქრობ, დაინტერესება იქნება ძალიან დიდი. ჩვენ შეხვედრა გვქონდა ბიზნესთან, გავაგრძელებთ კომუნიკაციას აუქციონის პერიოდში, რადგან მათ სრულყოფილი ინფორმაცია მივაწოდოთ იმ პოტენციალზე, რომელიც წყალტუბოს გააჩნია. ეს შესწავლები გაკეთებულია კუშმანის მიერ. შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტიზაზეა დაფუძნებული და ეს არ არის მხოლოდ ჩვენი შეთავაზება. შესაბამისად, ეს არის სანდო ინფორმაცია, რომელსაც, როგორც წესი, ინვესტორები ენდობიან ხოლმე.**

**წყალტუბო რეალურად უნდა გადავაქციოთ მაღალი კლასის ბალნეოლოგიურ და მრავალფუნქციური დანიშნულების კურორტად. პირადად მე მქონდა საუბარი რამდენიმე ინვესტორთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან წყალტუბოს ობიექტების შეძენით და ინვესტიციების განხორციელებით. ვფიქრობ, ჩვენ მოვახდენთ ამ ობიექტების რეალიზებას ისე, რომ უმოკლეს დროში დაიწყოს ინვესტორებთან ერთად უკვე გენგეგმის კონკრეტიკა, რათა ინვესტორებმა ინვესტიცია ეფექტიანად განახორციელონ. რა თქმა უნდა, დაცული იყოს სახლემწიფოს და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, მაგრამ ამავე დროს ინვესტორებისთვის ეს ყველაფერი იყოს მიმზიდველი და საბოლოოდ მივიღოთ ჰარმონიულად განვითარებული, მნიშვნელოვანი კურორტი საქართველოში“,** — აღნიშნა „ბიზნესპარტნიორთან“ დავითაშვილმა.

საინტერესოა თითოეული სანატორიუმის ღირებულება, რომელთაც, წესით და რიგით, 4 აგვისტომდე ახალი მფლობელი უნდა გამოუჩნდეს:

**„უშიშროება“** — ლოტი მოიცავს 250768.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-№26 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ფასი 8.4 მლნ ლარია. საინვესტიციო ვალდებულება კი, 25.41 მლნ ლარი.

იხ. 8 გვ.



## შეუძლებელია, ათწლეულების მანძილზე დაგროვილი პოლარიზაცია 6 თვეში ერთი ხელის მოსმით მოაგვარო



# ევროკავშირს პოლარიზაციის ფესვებზე წარმოდგენაც არა აქვს!

**ხელისუფლების ულტიმატუმი თუ გამოსავლის შეთავაზება ევროპას? ოფიციალური ბრიუსელისთვის ხელისუფლებას კონკრეტული წინადადება აქვს — მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ მზადაა, კანდიდატის სტატუსის მინიჭების მომენტიდან საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელოს. კობახიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ბარიერის 5-დან 2 პროცენტამდე დაწევა ევროკომისიის რეკომენდაციებში არ შედის, „ოცნება“ დეპოლარიზაციისთვის ამ ნაბიჯსაც გადადგამს. სახელისუფლებო პარტიის ლიდერი ამბობს, რომ სტატუსის მიღება პოლიტიკურ პროცესს გააჯანსაღებს, რაც დაბალი ბარიერის პირობებში, არსებულ რისკებს შეამცირებს.**



ირაკლი კობახიძეს, მალევე, საპარლამენტო ოპოზიციიდან გამოეხმაურნენ. პოლიტიკოსების ნაწილი, ინიციატივას ევროპელი პარტნიორების მიმართ წაყენებულ ულტიმატუმს უწოდებს. კანონმდებლებს არც დანაპირების რეალური განხორციელების სჯერათ და ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ ევროინტეგრაციის პროცესს მიზანმიმართულად აფერხებს.

ოპოზიციის მეორე ნაწილი საარჩევნო ბარიერის 2 პროცენტამდე დაწევის შესაძლებლობას დადებითად აფასებს. მიუხედავად ამისა, ისინი შეთავაზებას მეორეხარისხოვანს უწოდებენ. პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებაა. ბარიერი კი შიდაპოლიტიკური ვაჭრობის საგნად არ უნდა იქცეს.

გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს, საპარლამენტო უმრავლესობაში მალევე უპასუხეს. „ქართული ოცნების“ დეპუტატები ოპოზიციას ევროინტეგრაციის პროცესის დისკრედიტირებაში ადანაშაულებენ. ამბობენ, რომ ოპონენტებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში პოლიტიკური დივიდენდების დაკარგვის ეშინიათ, შესაბამისად, ხელისუფლებისთვის ხელის შეშლას ყველა გზით ეცდებიან.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** მიიჩნევს, რომ რთულია ჯერჯერობით წინასწარ იმაზე საუბარი, რა პასუხი ექნება ხელისუფლების შეთავაზებაზე ევროკავშირს. თუმცა მას მიაჩნია, რომ საქართველოში პოლარიზაცია ისეთ ხარისხშია ასული, ბარიერის დაწევა თუნდაც 1%-მდე მოხდეს, არსებულ სიტუაციას ვერ უშველის.

**„ვფიქრობ ეს უბრალოდ „ოცნების“ მხრიდან ევროკავშირისთვის შეთავაზება იყო, რომ მზად არის, გადადგას ნაბიჯი, იმაზე მეტი, ვიდრე ეს ევროკავშირს შეიძლება სურდეს. ანუ, მართალია, რეკომენდაციების სახით ბარიერის დაწევა მოცემული არ არის, მაგრამ რეკომენდაციების მიღმა პოლარიზაციის შესამცირებლად ამ ნაბიჯს გადადგამს. თუმცა ევროკავშირს ჩვენს რეალობაზე ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვს. პოლარიზაციის ფესვებზე ზუსტი წარმოდგენა არ აქვთ. ისინი ახლა ამ ყველაფერს ისე უყურებენ, რომ პარტიები ერთმანეთში ჩხუბობენ და ადვილად მოსაგვარებელი პრობლემა ჰგონიათ. ევროპელებს სიღრმისეული წარმოდგენა არა აქვთ, ეს პოლარიზაცია საიდან მომდინარეობს. მათ რომ ამაზე წარმოდგენა ჰქონდეთ, ვფიქრობ, რეკომენდაციებში დეპოლარიზაციას არ ჩაწერდნენ. შეუძლებელია 6 თვეში ათწლეულების მანძილზე დაგროვილი პოლარიზაცია ერთი ხელის მოსმით მოაგვარო. ვნახოთ, რა რეაქცია ექნებათ ევროკავშირში და გავიგებთ, მიაღწია თუ არა „ოცნების“ ნათქვამმა მათთან სწორად. როგორ გაიგებენ ისინი ამ შეთავაზებას, მთავარი ესაა“,** — ამბობს ანჯაფარიძე.

რაც შეეხება ოპოზიციის რეაქციას, რომელმაც კობახიძის შეთავაზება ბრიუსელის შანტაჟად შეაფასა, ანჯაფარიძეს არ უკვირს, რადგანაც სხვას მათგან არაფერს ელოდა. მისი აზრით, ოპოზიციას ისევ იმედი აქვს, რომ რევოლუციის გზით ხელისუფლების დამხობას შეძლებენ და საქმიანი პოლიტიკის კეთება არ სურთ.

**„არის საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი, ვგულისხმობ „გირჩს“, „მოქალაქეებს“, რომლებიც ოპონირების რეჟიმში ხელისუფლებას სწორ მეტოქეობას უწევენ. ეს არის ცივილიზებული და ევროპული წესი, სადაც ოპოზიცია დაუკრეფავში არ გადადის. დანარჩენი ოპოზიცია და პოლიტიკური პარტია, რომელსაც უფრო მეტი ადამიანური და ფულადი რესურსი აქვს, ვხედავთ, რომ ისინი მყარად კონფრონტაციის რეჟიმზე არიან გადასულები. არ მგონია, რომ ისინი ამ რეჟიმიდან გამოვიდნენ, რადგან ჯერ კიდევ აქვთ იმედი ხელისუფლების დამხობისა ან იძულებით ვადამდელი არჩევნების ჩატარებისა. ერთი სიტყვით, ამ რევოლუციური სცენარის ნირვანადან ვერ გამოვიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერეს და პარლამენტში შევიდნენ. მათი ბოლოდროინდელი განცხადებები და აგრესიული ტონის მატება იმაზე მიუთითებს, რომ კონფრონტაციის გზას არ მოეშვებიან. „ნაციონალური მოძრაობა, „ლელო“ და კიდევ სხვა პარტიები 3 ივლისის აქციის დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობდნენ“,** — აცახდებს ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** კი ამბობს, რომ სამწუხაროდ, საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება დასავლეთში დიდი ვაჭრობის საგანი გახდეს და მიიჩნევს, რომ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის ალტერნატივა არაფერია და ევროკავშირის მიერ წამოყენებული 12-პუნქტიანი გეგმა სტატუსის მინიჭების სანაცვლოდ, შეუსაბამოა. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანას იმაზე მეტად ძვირის გადახდა მოუწევს, რაც რეალურად სტატუსი ღირს. ამიტომ კობახიძის შეთავაზება ძალიან სწორი და კარგი ტაქტიკური სვლაა, რადგან ყველა ქვეყანა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს.

**„ძალიან სწორი სტრატეგია აქვს ხელისუფლებას არჩეული, როცა ამბობს, რომ 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად მზად არის და კონსულტაციებს ოპოზიციასთან, მესამე სექტორთან დაიწყებს. ხოლო დეკემბერში, თუკი ევროკავშირი სტატუსს მოგვცემს, მაშინ ხელისუფლება ბარიერს დაწევს და ამის პარალელურად ქვეყანაში დეპოლარიზაცია შემცირდება. ეს არის კონკრეტული შეთავაზება და წინადადება, რაშიც გასაკვირს და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. თუმცა, თუკი ამ სტატუსის მინიჭება ისევ საჯილდაო ქვა გახდება და კვლავ ვაჭრობის საგანი იქნება, დამერწმუნეთ, ქართველი ხალხის უმრავლესობა მშვიდობასა და სტატუსს შორის არჩევანს არ დააყენებს. აქედან გამომდინარე, კომუნიკაცია უნდა მოხდეს ევროკავშირთან, რათა ხელისუფლების შეთავაზება სწორად გაიგონ. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ჩემი ქვეყნის ინტერესის დათმობის, ღირებულებების უგულებელყოფით, ჩვენ ყველაფერი გავიღოთ და იქიდან მხოლოდ დაპირებები გვესმოდეს. ორივე მხარე პრაქტიკულ ქმედებაზე უნდა გადავიდეს, საქართველოც და ევროკავშირიც. მოდი, ეს გააკეთე, ის გააკეთე და მერე ვნახოთ, ასე არ გამოვა. ამიტომ კობახიძემ სწორად განაცხადა, რომ მოდი, ჯერ მოგვეცით ის, რასაც გვპირდებით და ჩვენც ჩვენის მხრივ უფრო მეტ დათმობაზე წავალთ“,** — აცხადებს ქადაგიძე.

ლიკა ბერიკაშვილი




# განკულაკებას გვთხოვენ?

## მაშინ ყველას ჩამოვართვათ ქონება, გადავცეთ მთავრობას და გამოვაცხადოთ კომუნიზმი!..

თეატრის მხატვარი შოთა გლურჯიძე თვლის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მონაწილეობით უნდა ჩატარდეს კონფერენცია, სადაც დაისმევა მთავარი კითხვები, რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია და დეპოლარიზაცია. მიღებული განმარტებების შემდეგ ქართველი ხალხი ან დათანხმდება, ან არა 12-პუნქტიან მოთხოვნას. მისი თქმით, ამ ეტაპზე გაუგებარია, რას თანხმდება ხელისუფლება და რა უნდა ოპოზიციას.

იხ. 8 გვ.




## საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით –
ყოველთვის ვცხონდით!..

სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;და ისევ – თამარს!
თევდორე ხუცესს;
პაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
– საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!

დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს..
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით
ყოველთვის ვცხონდით!..

* * *

შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე,
უნდა ღრუბელი გეფინოს ლურჯი.
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ,
რომ ჩავახედო შენს კეთილ სულში.

შენ უნდა უცხოდ მოსული ქარი
გიფრიალებდეს ნისლისფერ მერდინს,
გაიღოს უცებ სამოთხის კარი –
მუხლებთან გეჯდეს შემკრთალი ღმერთი...

რა ჯობს – სიმღერა თუ წყვილი ცრემლი!
სად ჯობს – მიწაზე თუ მიწის გარეთ!..
მზე-მზეზე უფრო დიდი და ცხელი,
მთვარე-მთვარეზეც მაღალი მთვარე,

და ცა! – ღმერთების ცისფერი ჰოლი –
ძლივს რომ აუდის მომსვლელს და წამსვლელს...
მაღალი ბიჭი ლამაზი ცოლით –
მოდიან, მაგრამ მიდიან წამსვე:

ბოლოს და ბოლოს, ერთი აქვს ბოლო
ლომსა და თინუსს, ნაძვსა და ღოლოს!
სიყვარულისთვის! კარგო, ჩვენ მხოლოდ
სიყვარულისთვის გავჩნდით და ვცხოვრობთ!

უხერხულია – შენ გერქვას ცოლი –
შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე.
აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი! –
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ...

## პოეტის ბოლოსიტყვაობა

მოვა და თვალზე ხელს აგვაფარებს,
ჩვენ კი არ ვიცით, ვინ არის იგი...
ასე მთავრდება ყველა ზღაპარი
და იხურება ცისფერი წიგნი.

ნანობს ურჩხული: „სულ ვიცოხნები.
დამწყდა მკლავები. მტკივა კუნთები.
მე დავიღალე – მთელი ცხოვრება
ნაფეხურების წაშლას ვუნდები“...

ყველა ზღაპარი როგორ გასრულდა,
სად მომიყვანა ჩემმა ბილიკმა...
მე ვნახე სულში ამოკაწრული
სიკვდილ-სიცოცხლის რთული ბილინგვა.

ღიმილი მოაქვს გოგოს ფშატიდან,
რომელსაც წეღან ნიავი წეწდა,
და თეა ჩემთვის ისე ატირდა,
თითქოს სიცოცხლე საერთოდ შეწყდა.

დგას ობელისკი ცად აზიდული –
სად შემიტყუა ვიწრო ბილიკმა...
ვნახე სიცოცხლეც, ვნახე სიკვდილიც –
მე ორივესი კმაყოფილი ვარ!..

## გილოცავთ დაბადების დღეს!




ჯერ გაზაფხული არც კი დამდგარა,
ისევ თებერვლის ცივი ქარია
და შენ –
ზაფხულის წითელ კაბაში,
საიდან გაჩნდი,
ჭიამაია!
მაცდური მზის სხივს, ხომ არ ჩამოჰყევ,
რომ არც გადარდებს ეს რია-რია,
რა გიხარია, ასე უღონოს,
ასე ფარფატას, რა გიხარია!
მე დამავიწყდა გაზაფხულები,
ეს ჩემი ჯავრიც, არახალია,
ნუ გეშინის ხმა, თავს რომ მევლება,
ეს – შენი ხმაა,
ჭიამაია?
მზენაამბორალ ფრთებს რომ მაშველებ
მე მეჩვენება, თუ სიზმარია!
წავა ზამთარი
და – გაზაფხულში,
ერთად გავფრინდეთ,
ჭიამაია!..

25.02.19

* * *

სივრცეების სურნელი,
სულ არ გაფორიაქებს?
წუთისოფელს, უხილვო
უკუღმა ატრიალებს,..
ვიდრე გააწარსულებს
ყოფნას,
მემატიანე –
წამო,
ქარის ღრუბლებით,
ცაზე ვიხეტიალოთ...

11.12.21

* * *

მეგობარო,
მეგობარო,
სიყვარულით სავსე გობი,
გახსოვს?
ალხო-მალხო,
ალხო-მალხო,
იქნებ,
ჩიტმა მაინც გნახოს,
სადმე, სიზმრის შორიახლოს,
ნატვრისფერი აჩრდილი რომ სახლობს.

25.05.22

* * *

შენ თქვი, რომ ქარიც გაგიუცხოვდა
და ღამეებიც თავის ხიბლს კარგავს
და ჩაბნელებულ ყოფის სცენაზე
უცბად იელვებს კარმენის კაბა!
ვინ, მწყურვალ სურვილს ფანტავს
გზადაგზა,
ვინ – პირველივით ყვება ძველ ამბავს,
ურცხვად ცბიერი წუთისოფელი,
ჟამს შემპარავი სიცრუით ლამბავს
და ჩაბნელებულ ყოფის სცენაზე,
ისე გიზგიზებს კარმენის კაბა...
აღარაფერიც აღარ ჩანს ირგვლივ,
აღარაფერი –
სიცოცხლის გარდა!

10.09.10

* * *

დინოზავრი გახდა ხვლიკი,
ხვლიკი გადინოზავრდა...
ჰაი, გიდი,
დროო, სხვისო,
ცეცხლმდინარო იარა!
ხორცის წლები მიწამ ჭამა,
სულ ცად აბრიალდა –
„ქუთაისი გადამწვარა,
თავის დუქნებიანად“!

* * *

ვინ არის იგი –
წუთის ფერი,
ვინ არის იგი,
ღობემძვრალას რომ
მომცრო თავზე,
პატივის გვირგვინს,
არგებს და ყალბი მოწონებით
ევლება ირგვლივ...
ვინ არის იგი,
ხომ არ იცით,
ვინ არის, იგი?!

21.02.22

* * *

მერამდენედ
ვეკითხები
მიეთებს და მოეთებს“ –
მელექსეთა კოკობზიკეთს,
დროისფერ „კაპოეტებს“ –
ხომ არ იცით,
იგოეთში,
რა უნდოდა,
გოეთეს?!

28.11.21

* * *

მიყრდნობილი ვარ
ბაგრატის კალთას...
ჩემს მაღლა ცაა,
დაბლა – რიონი
და მღვრიე წარღვნას
მიჰყვება სადღაც,
საწუთისოფლო
რია-რიანი...

22.05.22

* * *

ნაქერალას ნამქერში,
დამრჩა ქოში ხავერდის,
ცის კარიდან მოსული,
ხვამლის კარით გავედი,
ციდან კიბე ეშვება
სიზმრის სინარნარეთი,
ტორტმანებენ ღრუბლების
გემები და ნავები,
ღელვით გადავირბინე
ჟამთა ინტერვალები,
ფეხშიშველა მომდევდნენ
დღეები და ღამენი,
სავსე ვიყავ, სივრცეთა
უცხო ფერიცვალებით,
სადმე რომ შემხვედროდი,
როგორ გავიხარებდი...
წუთისოფლის კარიდან
ისე უცბად გავედი,
ნაქერალას ნამქერში
დამრჩა ქოში ხავერდის...

22.04.22

* * *

რა მიკვირს, იცით,
ყველაზე ძალიან?
„ვეფხისტყაოსანი“,ხომ
არ წაუკითხავთ!
„ბიბლიაზეც“, აშკარაა,
მწყრალად არიან,
არც ლამანჩელი რაინდის ამბავი
არ სმენიათ
„პატარა პრინცის“ პლანეტაზეც,
ერთხელაც არ უმოგზაურიათ და –
მაინც – არიან!
წარმოგიდგენიათ?
კარგად არიან!

12.04.22

* * *

მგონი მართლა ციდან ჩამოვვარდი,
გული სახილველით ვეღარ თბება,
ქუთაისში ქუთაისი მენატრება,
თბილისში თბილისი მენატრება,
ჟამი ჟამს მიჰყვება და მიჰყვება და
წელი-წელს, ასე როგორ ემატება,
სიცოცხლეში სიცოცხლე რომ მენატრება,
საქართველოში რომ საქართველო
მენატრება...

15.05.22

* * *

არ გინდა, ამ სიბრძნე-სიცრუის
ატანა?
ლექსებს წერს ღმერთიც და
ლექსებს წერს...
სატანაც..!

5.05.22

* * *

ხან – „მაიმუნის წელიწადით“
გვაიმედებენ,
ხან – კმაყოფილი „ღორი“ მიდის
და – „ვირთხა“ მოდის...
ადამიანის წელიწადი
როდის დადგება,
პატივცემულო ასტროლოგებო,
ნეტავი,
როდის!

ქუთაისი-თბილისი

# განკულაკებას გვთხოვენ?

## მაშინ ყველას ჩამოვართვათ ქონება, გადავცეთ მთავრობას და გამოვაცხადოთ კომუნიზმი!..

(მეექვსე გვერდიდან) **– საქართველომ ვერ მიიღო კანდიდატის სტატუსი, მაგრამ მოგვცეს დავალება, რომელიც შემოიფარგლება 12-პუნქტიანი გეგმით, რომლის შესრულებას ყველა თავისებურად ხედავს. ხელისუფლებას აქვს თავისი მიმართულება და ეს არის თანამშრომლობა ოპოზიციურ ძალებთან, ოპოზიცია კი ქუჩას არჩევს გეგმის შესასრულებლად. ბატონო შოთა, რა პროცესებს ვაკვირდებით ახლა ჩვენ?**

– იცით, მგონია, რომ პოლიტიკური ძალების სერიული დეგრადაციას ვხედავთ. მნიშვნელობა არ აქვს, ოპოზიცია არის, თუ ხელისუფლება. ძალიან დაბალი პოლიტიკური აზროვნების დონეა. რომ ვთქვათ – მოქალაქეები გამოირჩევიან დიდი აზროვნებით და შეუძლიათ თვითონ ჩამოაყალიბონ რა უნდათ, ასე არაა. პრინციპში, იგივე პროცესი არის დასავლეთშიც. იმ 12-პუნქტიან გეგმას რომ გადავხედოთ, ვერც გავიგებთ რას გვთხოვენ, რა უნდა შევასრულოთ.

**– ერთ-ერთი არის დეპოლარიზაცია და დეოლიგარქიზაცია. ფიქრობთ, რომ ეს გაუგებარი მოთხოვნაა?**

– რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია? დღეს, კლასიკური გაგებით, ოლიგარქი მსოფლიოში არ არსებობს. თავის დროზე, ტრანსნაციონალურ კომპანიებს ერქვათ ოლიგარქები. ეს ტერმინი ბიზანტიის იმპერიის დროს ჩამოყალიბდა. ოლიგარქი იყო ადამიანი, რომელსაც ხელისუფლებაზე ჰქონდა გავლენა და ამავე დროს ხელისუფლების გამოყენებით იყო გამდიდრებული. ახლა არის ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც მართავენ ხელისუფლებებს.

> ამ მხრივ, მთელ მსოფლიოში ისეთი პროცესებია, კი ვხედავთ, რომ ეს ხელისუფლებები მარიონეტებად არიან გადაქცეულნი და რა დეოლიგარქიზაციაზე გველაპარაკებიან, როცა მთელს მსოფლიოში მთლიანად მართულია პოლიტიკური პროცესი?! თუ გონიერი და რაციონალური ადამიანი გადახედავს ამ პუნქტებს, ვერც გაიგებს, რას გვთხოვენ და ეს არის უცნაური. ხელისუფლებაც რაღაცის შესრულებას პირდება, რაც გაუგებარია. ოპოზიციაც ამ მოთხოვნების შესრულებას ითხოვს, მაგრამ არ იციან, რა უნდა შესრულდეს.

ავიღოთ იგივე დეპოლარიზაცია – რისი დეპოლარიზაცია უნდა მოხდეს? ყველა ერთ ჭკუაზე უნდა ვიყოთ, თუ, რას ნიშნავს ეს დეპოლარიზაცია? ან იგივე დეოლიგარქიზაცია? მე, მემარცხენე ადამიანი ვარ და ვთვლი, რომ არ შეიძლება თანაბარი იყოს სიკეთის გადანაწილება, რომელიც მოიპოვება ქვეყანაში იმ არსებული რესურსიდან, რომელიც ყველას ეკუთვნის. მე, მგონია, რომ ბორჯომი, წიაღისეული და ეს ყველაფერი საერთო საკუთრებაა. ასე არ ჰგონიათ კაპიტალისტებს და ამას გვთხოვენ? მე ასე შემიძლია გავიგო დეოლიგარქიზაცია. მაშინ, ჩამოვართვათ ეს ქონება, თუ რა ვქნათ? მდიდარი ადამიანი არ უნდა იყოს? ეს უნდა გავაკეთოთ?

**– ფაქტია, რომ დეოლიგარქიზაციის პუნქტი მორგებულია ბიძინა ივანიშვილზე...**

– ბიძინა ივანიშვილს საქართველოში არაფერი უშოვია. უცხოეთში იშოვა და მერე რა, ჩამოვართვათ ქონება? იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრობის სტატუსი მივიღოთ, ქონება უნდა ჩამოვართვათ ივანიშვილს? მაშინ, ყველას ჩამოვართვათ ქონება. მე, საკუთარი სახლი მაქვს, მანქანაც მაქვს, ვიღაცას არ აქვს, იმასთან შედარებით ოლიგარქი ვარ და ამიტომ უნდა ჩამომართვან?

**– ევროკავშირში წევრობის სანაცვლოდ დასავლეთი სტალინის ხანაში გვაბრუნებს, ითხოვს პიროვნების განკულაკებას, ოღონდ თანამედროვე მეთოდით...**

– სწორი მაგალითი მოიყვანეთ. განკულაკებას გვთხოვენ – კი ბატონო, მაშინ ყველას ჩამოვართვათ ქონება, გადავცეთ მთავრობას და გამოვაცხადოთ კომუნიზმი. ასე გამოდის, რომ ჩვენ უნდა დავბრუნდეთ კომუნისტურ რეჟიმში. დეოლიგარქიზაცია რითი განისაზღვრება – ქონების რაოდენობით, თუ გავლენით? შეიძლება საერთოდ არ გამაჩნდეს ქონება, მაგრამ გალენა მქონდეს, როგორც საზოგადოებრივ ადამიანს. თქვენ რომ აზრს მეკითხებით, ეს ნიშნავს, რომ გავლენა მაქვს? ან მთავრობის რომელიღაც წევრს თუ რჩევას მივცემ, ეს გავლენაა და ამიტომ უნდა დავისაჯო?



**– თუ ჩვენ გვინდა მივიღოთ კანდიდატის სტატუსი, უნდა დაისაჯოთ...**

– მზად ვარ, მაგრამ ჯერ გამხადონ ოლიგარქი და მერე მოხდეს ჩემი დეოლიგარქიზაცია.

თუ 12-პუნქტიან მოთხოვნებს ჩავუღრმავდებით, გაუგებარია მოთხოვნები და საერთოდ გაუგებარია ხელისუფლების მიდგომაც, როცა ჰპირდებიან, რომ შეასრულებენ საშინაო დავალებას, მაგრამ რა უნდა შევასრულოთ? პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს კონფერენცია, მოვიწვიოთ ევროკავშირის წევრები და დავსვათ კითხვები – რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია? ან დეპოლარიზაცია? მოგვცენ განმარტებები, გავიგოთ რაზეა საუბარი, რომ მერე დავთანხმდეთ, ან – არა. ყველა მდიდარ ადამიანს ჩამოვართვათ ქონება და გადანაწილდეს მოსახლეობაზე? საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც უპოვარია, ამ მოთხოვნას შეიძლება დათანხმდეს.

მეორე პუნქტი – დასრულდეს დეპოლარიზაცია. მე, მაგალითად, მომხრე ვარ, რომ საერთოდ გაუქმდეს პარტიები. შესაბამისად, დეპოლარიზაციაც საჭირო არ იქნება. არანაირი პროგრამა არ ექნებათ და საერთოდ, პარტიებიც არ იარსებებს. პრინციპში, ყველა ამ პუნქტის მომხრე ვარ, მაგრამ ეს გამოიწვევს ჩვენი წყობის აბსოლუტურ ცვლილებას, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე. ვკითხოთ იმ ევროპელებს – კერძო საკუთრება უნდა გაუქმდეს?

**– ოპოზიციამ დეოლიგარქიზაცია მოარგო ივანიშვილს, მაგრამ ოლიგარქები არიან მეორე მხარეს – კობა ნაყოფია, დავით კეზერაშვილი და ა.შ. მათ ნაწილში არ უნდა ამოქმედდეს ეს მოთხოვნა?**

> – გეთანხმებით, მაგრამ აქ არის მეორე საკითხი – ქარაგმებით ნუ დაგველაპარაკებიან და პირდაპირ გვითხრან, რომ ბიძინა ივანიშვილი უნდა გავაგდოთ ქვეყნიდან, რომ ევროკავშირში მიგვიღონ! ჩემი აზრით, ეს იქნება ერთი ადამიანის დისკრიმინაცია! რატომ უნდა დავსაჯოთ, იმიტომ, რომ ბევრი ფული აქვს და რაღაც გავლენა აქვს? ჩემზე არანაირი გავლენა არ აქვს, არც ხელფასს არ მიხდის და არც მისი პოზიცია არ მომწონს, მაგრამ როგორც ადამიანი და მოქალაქე, სულ არ ვთვლი, რომ დისკრიმინირებული უნდა იყოს! მე ასეთი ევროპა არ მინდა.

რას ნიშნავს ევროპა? თუ ჩვენ განვსაზღვრავთ რა არის ევროპა და თუ ლაპარაკია იმაზე, რომ ევროპა არის ქრისტიანულ ფასეულობებზე დაყრდნობილი ცივილიზაცია, მაშინ ჩვენ ევროპელები უკვე ვართ და რომელი ევროპისკენ მივდივართ? ევროპა, რომელმაც გადაუხვია ამ პრინციპს და ჩემი აზრით, ძალიან ძლიერად, ევროპელი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი არ არიან ამ ქრისტიანული ცივილიზაციის ფასეულობებში, მაშინ ისინი უნდა დაბრუნდნენ შინ! შინ ვართ ჩვენ! ჩვენ შინ ვიმყოფებით!

არანაირი რევერანსები არ მაქვს, ძალიან ბევრს პატივს ვცემ, მიყვარს ევროპული ლიტერატურაც, ხელოვნებაც, მაგრამ სულაც არ ვთვლი ნაკლებად არც ჩემს ხელოვნებას, ლიტერატურას და არც ტრადიციებს. ამიტომ, არ ვფიქრობ, რომ ევროპაზე რამით ნაკლები ვართ. შეიძლება ტექნოლოგიურად ჩამორჩენილები ვართ, თუ ამას გულისხმობენ, მაშინ ვეთანხმები. ტექნოლოგიურად ცოტა უკან ვართ და კარგი იქნება, თუ ახალ ტექნოლოგიებს შემოიტანენ, ეს შეუძლია ევროპას.

**– რაც შეეხება 3 ივლისის აქციას, რომლის ორგანიზატორი იყო ოპოზიცია, როგორ ფიქრობთ, მათი მიზანი პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარებაა? ბოლო აქციამ რა დაგანახათ, ამის რესურსი აქვს ოპოზიციას?**

– სულ რომ 100 ათასი კაცი გამოსულიყო, რეალურად, ეს არაფერს არ ნიშნავს. ჩვენ თუ ვსაუბრობთ იმ დოქტრინაზე, რასაც ჰქვია ევროპა, მაშინ ეს ყველაფერი წყდება საარჩევნო ყუთთან და არა მიტინგით. კი ბატონო, ჩაატარონ მიტინგი, მაგრამ მერე მივიდნენ საარჩევნო ყუთთან. აქციაზე მისული მოქალაქეების უდიდესი ნაწილი სულაც არ არის მათი ამომრჩეველი.

**– გამოსავალი რა არის? ფაქტია, რომ პოლიტიკური ფონი არის მძიმე, ისევე როგორც ეკონომიკური. ხელისუფლება ამბობს, რომ ეკონიმიკა ვითარდება და წინ მიდის, მაგრამ მოსახლეობის ყოველდღიურობას არ ეტყობა აღორძინებული ეკონომიკა...**

– რეალობა ის არის, რომ რაღაცა ნაბიჯები იდგმება, მაგრამ საკმარისი არ არის. ბევრი რამე არ კეთდება ისე, როგორც უნდა გაკეთდეს, იმიტომ, რომ იბლოკება კორუფციის გამო. ეს უკვე ზნეობრივი საკითხია. ბევრი რამე კეთდება, მაგრამ ზნეობრივი საკითხი სულ უკან გვწევს, რაც არის მთავარი პრობლემა.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# ელირსება წყალტუბოს ახალი სიცოცხლე?!

(მეხუთე გვერდიდან) **„მედეა“** – ლოტი მოიცავს, 76621.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე არსებულ №1-№17 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ღირებულება 5.82 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება 10 მლნ ლარი;

**„მეგობრობა“** – ლოტი მოიცავს, 104176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-21 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ღირებულება 5.23 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება 15.69 მლნ ლარი;

**„თბილისი“** – ლოტი მოიცავს, 28399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ფასი 3.14 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება 9.42 მლნ ლარი;

**„იმერეთი“** – ლოტი მოიცავს, 41150.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ღირებულება 3.12 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება კი, 9.37 მლნ ლარი;

**„რკინიგზელი“** – ლოტი მოიცავს, 33000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებული №1-№9 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ღირებულება 3.09 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება 9.27 მლნ ლარი;

**„სასტუმრო წყალტუბო“** – ლოტი მოიცავს, 50062.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-№11 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ფასი 2.9 მლნ-ია. საინვესტიციო ვალდებულება კი, 8.96 მლნ ლარი;

**„აია“** – ლოტი მოიცავს, 34342.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-№13 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ფასი 2.8 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება კი, 8.4 მლნ ლარი;

**„სანატორიუმი წყალტუბო“** – სანატორიუმი მოიცავს 34342.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-№13 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ღირებულება 2.8 მლნ ლარია. საინვესტიციო ვალდებულება კი 7.8 მლნ ლარი.

**„ფინალი“** – ლოტი მოიცავს 38224.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-№5 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ფასი 2.1 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება კი, 6.53 მლნ ლარი;

**„სავანე“** – ლოტი მოიცავს, 15091.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1-№5 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ღირებულა 2.12 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება კი, 6.37 მლნ ლარი.

**„სამგურალი“** – ლოტი მოიცავს 18681.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1 და №2 შენობა-ნაგებობებს. ღირებულება, 2.04 მლნ ლარია, საინვესტიციო ვალდებულება კი, 6.13 მლნ ლარი.

**„გელათი“** – ლოტი მოიცავს, 22057.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1 და №2 (დანგრეული) შენობა-ნაგებობებს. საწყისი ფასი 1.96 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება კი, 5.9 მლნ ლარი;

**„გეოლოგი“** – ლოტი მოიცავს, 18586.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებული №1, №2 და №3 შენობა-ნაგებობებს. საწყისი ფასი 1.42 მლნ-ია, საინვესტიციო ვალდებულება კი, 4.26 მლნ ლარი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** ინფორმაციით, უკვე დამტკიცებულია წყალტუბოს გენერალური გეგმა და კურორტი ამ გეგმის მიხედვით განვითარდება.

> **„ჩვენი მოლოდინი არის, რომ დაახლოებით 500 მილიონი ლარის ინვესტირება განხორციელდება. რა თქმა უნდა, ეს იქნება კერძო ინვესტიცია, ამას გარდა, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ დამატებით ათეულობით ლარის ინვესტირება მოახდინოს იმისთვის, რომ წყალტუბო გახდეს თანამედროვე, მსოფლიო დონის სპა-კურორტი, ისეთი, როგორიც ჩვენ გვინახავს ევროპაში, იქნება ეს კარლოვი ვარი, ბადენ-ბადენი თუ სხვა. წყალტუბოს აქვს პოტენციალი, რომ გახდეს მართლაც ევროპული და მსოფლიო დონის სპა-კურორტი“...**

პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კურორტი განვითარდეს და მისი ინფრასტრუქტურა იყოს მაქსიმალურად კეთილმოწყობილი.

**ბექა დანელია**

# ქრისტიანის პოზიცია დღევანდელ ვითარებაში



**ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ჩვენთან აშკარად კრიზისული მომენტის დადგომამ.**

**დღევანდელ ვითარებას უფრო სიღრმისეულად უნდა მივუდგეთ. საქმე ის გახლავთ, რომ საზოგადოებაში ხშირად გაუთვალისწინებელი, ირაციონალური მომენტები იჩენს თავს, რაც შორს არის ყოველგვარი ე. წ. „ჯანსაღი აზრისგან“ და ვერავითარ ლოგიკას ვერ ექვემდებარება. აქ არ ვგულისხმობ ფროიდისტულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც საზოგადოების ცნობიერება ემსგავსება „ისტერიული პაციენტების ცნობიერებას, რომლებიც იტანჯებიან გახსენებებისგან“, ხოლო ნევროზი წარმოადგენს უუნარობას, თავიდან მოიცილოს წარსულის ზეგავლენა. ფსიქოთერაპია ორთოდოქსულ ფროიდიზმში პაციენტის ფსიქიკური წარსულის ანალიზია, უმთავრესად — შორეული, ქვეცნობიერში ჩაძირულის, მაგრამ — რომელიც მას აწმყოშიც ტანჯავს. აი, ამ ნევროზული დაავადების თეორიის გადატანის მცდელობა ხდებოდა ზოგადად საზოგადოების ცნობიერებაზე, როგორც ამას აკეთებს გერმანელი ფილოსოფოსი კარლ მანჰაიმი თავის 1934 წელს დაწერილ თხზულებაში „რაციონალური და ირაციონალური ელემენტები თანამედროვე საზოგადოებაში“. ჩემი აზრით, ფროიდისტული კონცეფცია სრულიად სუბიექტურია და ქრისტიანისთვის, როგორც ყოველი ჯანსაღი აზრისთვის, მიუღებელი.**

მთელი ამ წერილის მიზანი გახლავთ, რაიმენაირად გავერკვეთ და შეძლებისდაგვარად გზები გამოვნახოთ, რათა თავი დავაღწიოთ იმ ბედუკუღმართობას (რამდენადაც ეს ამქვეყნადაა შესაძლებელი), რომელსაც საქართველო განიცდის ამ ოცდაათი წლის მანძილზე, დღიდან მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ასეთივე საბედისწერო მდგომარეობაში იმყოფებოდა გერმანია, როდესაც კარლ შმიტი თავის „პოლიტიკურ თეოლოგიას“ წერდა (მისი პირველი გამოცემა მოხდა 1922 წელს). მაგრამ ასი წლის შემდეგ ჩვენში ეს პრობლემები უფრო საშიში ხდება. აქ საუბარი არ არის მარტოოდენ გარეშე საფრთხეებზე, არამედ იმ ფაქტზე, რომ გვყავს ყოვლად ამორალური ე. წ. „პოლიტიკოსები“, რომელთა მიზანი ჩვენი საზოგადოების საბოლოო დასამარებაა. საიდან მოდის ეს? ისევე, როგორც თავის დროზე კარლ შმიტი, ჩვენც,



# ლიბერალიზმი

ჩვენი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ფრიად ფხიზელ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს დონოსო კორტესს მივმართავთ (ესპანურიდან მისი თხზულებების თარგმანი იხ. Хуан Доносо Кортес, Сочинения, С. П. 2006).

სიტყვაში, რომელიც დონოსო კორტესმა წარმოთქვა 1849 წლის 4 იანვარს დეპუტატების კონგრესში, იგი ამბობს:

**„მე ვამბობ, სენიორებო, რომ დიქტატურა გარკვეულ გარემოებებში, მოცემულ გარემოებებში, გარემოებებში, როგორიც ახლანდელია — ეს კანონიერი მმართველობაა, ეს კარგი მმართველობაა, ეს სასარგებლო მმართველობაა, როგორც ნებისმიერი სხვა მმართველობაც, ეს მმართველობა რაციონალურია, რამდენადაც შეუძლია, თავი დაიცვას როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაშიც. ხოლო სხვაგვარად, სენიორებო, შეხედეთ, რას წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრება.**

**საზოგადოებრივი ცხოვრება, ისევე, როგორც ადამიანური ცხოვრება, იქმნება ქმედებისა და უკუქმედებისგან, გარკვეული თავდამსხმელი ძალებისა და გარკვეული თავდაცვითი ძალების მოქცევისა და მიქცევისგან. ასეთია საზოგადოებრივი ცხოვრება, ასეთივეა ადამიანურიც. ამგვარად, აგრესიულ ძალებს, რომლებსაც ეწოდებათ ავადმყოფობები ადამიანურ სხეულში და სხვანაირად საზოგადოების სხეულში, მაგრამ, არიან რა ძირითადად იმავე ბუნების, გააჩნიათ ორი მდგომარეობა: ერთში ისინი გაბნეულები არიან საზოგადოებაში, რომელშიც ისინი წარმოდგენილებია მხოლოდ ინდივიდუმებით, და არის სხვა, ავადმყოფობის მწვავე მდგომარეობა, რომელშიც ეს ძალები უფრო თავმოყრილია და წარმოდგენილია პოლიტიკური გაერთიანებებით. ამგვარად, ვამბობ, რამდენადაც წინააღმდეგობის გამწევი ძალები არსებობენ ადამიანურ სხეულში, ისევე, როგორც საზოგადოების სხეულში, მხოლოდ იმიტომ, რომ წინ აღუდგნენ შემომჭრელ ძალებს — ისინი აუცილებლობის მიხედვით უნდა შეესაბამებოდნენ საზოგადოების მდგომარეობას. როდესაც შემომჭრელი ძალები გაბნეულია, წინააღმდეგობის გამწევი ძალები ასევე გაბნეულები არიან მთავრობაში, ხელისუფლების, სასამართლოების მიხედვით, ერთი სიტყვით, საზოგადოების მთელი სხეულის მიხედვით, მაგრამ, როდესაც შემომჭრელი ძალები თავმოყრილია პოლიტიკურ გაერთიანებებში, მაშინ აუცილებელია, რომ არავის შეეძლოს ხელშეშლა, რომ არავის ჰქონდეს უფლება ხელი შეუშალოს წინააღმდეგობის გამწევ ძალას, თავისთავად თავი მოიყაროს ერთ ხელში. ეს ნათელი, ურღვევი, ბრწყინვალე დიქტატურის თეორიაა“.**

მკითხველო, არ დაგავიწყდეს, რომ დონოსო კორტესის ეს გამოსვლა კონგრესში ხდებოდა ერთი წლის შემდეგ, რაც მარქსმა და ენგელსმა გამოსცეს „კომუნისტური მანიფესტი“ (1848) და კორტესი, დიდი შორსმჭვრეტელობით, უკვე ხედავდა, რა განსაცდელი ელოდა მსოფლიოს ათეისტური სოციალიზმის ძალებისგან. ასევე კარლ შმიტი, უკვე XX საუკუნის ოციან წლებში, იხრებოდა დიქტატურის დამყარებისკენ, რათა წინ აღდგომოდა ასეთ ძალებს. ისტორიამ დაგვანახა, თუ რით დამთავრდა ეს. დღეს სახეზეა ათეისტური ლიბერალიზმის ზეიმი ქრისტიანულ სამყაროში და მისი თავდასხმები ჩვენს ტრადიციებზე. ასევე საინტერესოა დონოსო კორტესის აზრი ლიბერალიზმზე, რომელიც გამოთქმულია მის წიგნში „ნარკვევი კათოლიციზმზე, ლიბერალიზმზე და სოციალიზმზე“. „რაც შეეხება ბოროტებას“, — წერს კორტესი — „ლიბერალური სკოლა უარყოფს მის არსებობას ფიზიკურ სამყაროში და აღიარებს მას — ადამიანურში. ამ სკოლისთვის ყველა, რაც შეეხება ბოროტებასა და სიკეთეს, წყდება მმართველობის სახეობაზე, ხოლო ეს პრობლემა — მმართველობის კანონიერებაზე: თუკი მმართველობა ლეგიტიმურია, ბოროტება შეუძლებელია, და პირიქით — თუკი მმართველობა არალეგიტიმურია, ბოროტება გარდაუვალია. მაშასადამე, საკითხი ბოროტებასა და სიკეთეზე დაიყვანება იმაზე, რომ გაირკვეს, თუ მმართველობის როგორი სახეობებია კანონიერი და როგორები წარმოადგენენ უზურპაციას...

თეორია ხალხის თავდაპირველ დამფუძნებლურ უზენაესობაზე გახლავთ ათეისტური და არის ლიბერალურ სკოლაში მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ათეიზმი არის დეიზმში, ესე იგი როგორც შორეული, თუმცა კი — გარდაუვალი დასკვნა. აქედან ღებულობს საწყისს ორი დიდი მიმართულება ლიბერალურ სკოლაში: დემოკრატიული და საკუთრივ ლიბერალური... ლიბერალიზმის ძირითადი ცდომილება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ მმართველობის საკითხებს, რომლებიც, რელიგიური და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებთან შედარებით, სრულიად უმნიშვნელოა. აქედან გასაგებია, თუ სრულიად რატომ გაფერმკრთალდა ლიბერალიზმი იმ მომენტიდან, როდესაც სოციალისტებმა და კათოლიკეებმა მსოფლიოს გადაუშალეს უზარმაზარი, თავისი მნიშვნელობით, პრობლემები და იწყეს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების შეთავაზება. როდესაც კათოლიციზმი ამტკიცებს, რომ ბოროტება მომდინარეობს ცოდვიდან, რომ ცოდვამ დაამახინჯა პირველი ადამიანის ბუნება და, ამის მიუხედავად, სიკეთე ბატონობს ბოროტებაზე, ხოლო წესრიგი — უწესრიგობაზე, რადგან ამ შემთხვევაში ერთი — **ღვთისაა,** ხოლო სხვა — **ადამიანური,** არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი პასუხი, რომელიც თვით არ არის ჯეროვნად გამოკვლეული, რაღაცა ზომით აკმაყოფილებს გონებას, შეუფარდებს მიზეზთა დიდებულებას შედეგთა დიდებულებას, ასევე, როგორც ასახსნელის მნიშვნელოვნებას — ახსნათა მნიშვნელოვნებას. თავის მხრივ, როდესაც სოციალიზმი ამტკიცებს, რომ ადამიანის ბუნება ჯანმრთელია, ხოლო ავადმყოფია მხოლოდ საზოგადოება, როდესაც პირველს უხმობს ღია ბრძოლისკენ მეორის წინააღმდეგ, რათა სიკეთის დახმარებით, რომელიც იმყოფება ადამიანში, ბოლო მოუღოს ბოროტებას, რომელიც საზოგადოებაშია ფესვგადგმული, როდესაც მოუწოდებს ის ყველა ადამიანს საზოგადოებრივი ინსტიტუტების წინააღმდეგ საბრძოლველად, ეჭვი არ არის, რომ საკითხის ასეთ დასმაში და გადაწყვეტაში, თუკი კიდევაც მოთავსებულია მრავალი სიყალბე, არის რაღაც დიდებული, გრანდიოზული, რომელიც ღირსია თავად თემის საშინელი დიდებულებისა. მაგრამ, როდესაც ლიბერალიზმი იწყებს ბოროტებისა და სიკეთის ბუნების, წესრიგისა და უწესრიგობის ახსნას მმართველობის განსხვავებული ფორმებით, როდესაც განყენებულად მთელი სოციალური და რელიგიური პრობლემებიდან გვთავაზობს, განვიხილოთ თავისი პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ყურადღების ღირსნი არიან სახელმწიფო მოღვაწის მხრიდან თავიანთი აშკარა მნიშვნელობის გამო, არც ერთ ენაში არ შეიძლება გამოიძებნოს სიტყვები, რომლებსაც უნარი შესწევთ კიდევ უფრო დააკნინონ ამ სკოლის სრული უუნარობა და რადიკალური უძალობა, არათუ გადაწყვიტონ, არამედ თვით დასვან ეს საშინელი კითხვები. არის რა ერთდროულად წყვდიადისა და სინათლის მტერი, ლიბერალურმა სკოლამ თავისთვის აირჩია რაღაც ბინდბუნდი ნათელ და ბნელ მხარეებს შორის, მარადიულ სიბნელეებსა და ღვთაებრივ განთიადებს შორის“.

ვფიქრობ, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ, საქართველოშიც თავი იჩინა ამ ლიბერალურმა მიმართულებამ, რომელიც არას დაგიდევთ – არც ღმერთს, არც ეკლესიას, არც ტრადიციას და მზად არის „ლიბერალური მსოფლმხედველობიდან“ გამომდინარემ, ჩვენში დააკანონოს მამაკაცის – მამაკაცთან და დედაკაცის დედაკაცთან ქორწინება. ეს გახლავთ კიდევ ერთი, უძველესი, „სოდომისა და გომორის“ ცოდვა, რომელმაც თავი იჩინა დამოუკიდებელ საქართველოში.

დღეს უკვე აშკარად გამოიკვეთა, თუ ვინ აძალებს საქართველოს ამ „ლიბერალურ მიმართულებას“ – ეს კოლექტიური დასავლეთია, ევროპა და აშშ! ამიტომ, თითოეული მოქალაქე, თითოეული პარტია, რომელიც ამ ბოროტებას უპირისპირდება, ღვთისგანაა დალოცვილი.

**ახლა გადავხედოთ ჩვენს ოცდაათწლიან დამოუკიდებლობის ისტორიას; განა ამ დროს არ მოგვევლინნენ პრეზიდენტები, რომლებიც გერმანელი პოლიტოლოგის დოლფ შტერნბერგერის გამოთქმით, განასახიერებდნენ „დემონოლოგიკას“, ე.ი. რომლებიც მიზნად ისახავდნენ საკუთარი თავის დამკვიდრებას (დემონის პოზიცია), ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან და მათ დაქვემდებარებას, რაც საბოლოო ჯამში მათ გაბატონებას ემსახურებოდა (Dolf Sternberger, Drei Wurzeln der Politik, Frankfurt. M., 1978). ასეთ ვითარებაში საზოგადოებაშიც ილვიძებს დემონოლოგიური ძალები, რაც „მეორედ მოსვლის“ უპირველესი ნიშანია.**



**ვიქტორ რცხილაძე**

◎ ვაი ბურთისაგან!..

# რატომღა ვთამაშობთ?!

**პოპულარული საკლუბო ევროტურნირები ეს-ესაა დაიწყო, კონფერენსლიგის მონაწილე ქართული ტრიო კი, ტრადიციისამებრ, ახლოსაა ჯერაც გაუხურებელი საერთაშორისო პრესტიჟული სეზონის სამარცხვინო ფინიშთან, რადგან სამივე დამარცხდა სულ მცირე, ტოლ-სწორ მეტოქესთან, თანაც ორი — საკუთარ მოედანზე:**

კუპს (ფინეთი) — დილა 2:0, საბურთალო — პარტიზანი (ალბანეთი)0:1 და დინამო — პაიდე (ესტონეთი) 2:3.

ბუნებრივია, თანამემამულეთა ასეთმა საინფარქტო სტარტმა თითოეული გუნდის ქომაგს დაწყვიტა გული, მაგრამ განსაკუთრებით მაინც ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის გულშემატკივრები გაწბილდნენ, რომლებმაც ტოტალიზატორის ენით თუ ვიტყვით, ბალტიისპირელებთან 100-კუშიანი ტაიმბოლი დასვეს და ბევრს სიბინძურეზე ფიქრის საფუძველი მისცეს.

რასაკვირველია, ძნელია ასე ხელაღებით ამტკიცო რამე, მაგრამ რამდენიმე სტატისტიკურ მაჩვენებელს რა ვუყოთ? დიახ, მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმართა კარისკენ მხოლოდ ორჯერ დავარტყით ზუსტად და ამდენივე კუთხური მოვაწოდეთ. ეს, ასე ვთქვათ, აქტიურობის გათვალისწინებით.

რაც შეეხება არანაკლებ საგანგაშო ბრძოლისუნარიანობის ამსახველ ციფრებს: შვიდიოდე წესების დარღვევა და ერთადერთი გაფრთხილება (კალანდაძე). დაგვეთანხმებით, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ახლა კი მასპინძელთა თავკაცს **გიორგი ჭიაბრიშვილს** მოვუსმინოთ:

„რა თქმა უნდა, ასე თამაში არ შეიძლება და დაუშვებელია მატჩის ასე დათმობა. პაიდემ ხასიათით გვაჯობა. ეს მეტოქის გამარჯვება კი არა, ჩვენი წაგებაა. გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი და დაცვის ხაზში პრობლემების მიუხედავად გპირდებით, რომ ისე ვიბრძოლებთ, თითქოს ეს ჩვენი უკანასკნელი თამაშია და საპასუხო შეხვედრა ღირსების მატჩი იქნება“!



◎ ფარქვეშ



# ცოდვამ უწია

**ერთმა ძულამ გადაწყვიტა რიგაში გამართული მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფური რაუნდის დასკვნითი მატჩის ბედი, რომელშიც ესპანეთმა უკრაინას 77:76 მოუგო, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრებმა საკუთარ კვარტეტში მეორე ადგილი დაიკავა.**

დრამატული შეხვედრის ბოლო წუთზე პირენეელებმა ხუთქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, უკანასკნელ წამებზე კი მათმა ცენტრმა სანსმა მეტოქეს ფარქვეშიდან დაუფარა(!). ასე რომ, ნომინალურ მასპინძელთა ადგილობრივი თავკაცი **აინარს ბაგატსკისი** წინა ტურში ჩვენს გუნდთან ულირსი საქციელისთვის საკადრისად დაისაჯა, თორემ ბიჭებს რას ვერჩით.

რაც შეეხება მეორე ჯგუფურ სტადიას, მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ მეოთხე პოზიცია გვიკავია, მაგრამ ნიდერლანდებთან და უშუალო კონკურენტ ისლანდიასთან ორ-ორი გამარჯვება მუნდიალზე პირველად მოსახვედრად სანუკვარ სამეულში გაგვიკვალავს ბილიკს, თანაც, ამ უკანასკნელს დასკვნით ტურში თბილისში ვუმასპინძლებთ.

არის ერთი დამაფიქრებელი გარემოება — ევროლიგისა და ნბა-ს კლუბებში მოთამაშე **შენგელია** და **ბითაძე** მხოლოდ აგვისტოში დაგვეხმარებიან, მაგრამ მსგავს ვითარებაში არიან ჩვენი მოწინაალმდეგენიც.

**პირველი ჯგუფური ეტაპის საბოლოო სატურნირო მდგომარეობა:**

ესპანეთი — 5, საქართველო — 4, უკრაინა — 3, ჩრდილოეთ მაკედონია — 0 მოგება.

**მეორე ჯგუფური რაუნდის საწყისი სატურნირო ვითარება:**

ესპანეთი, იტალია, ისლანდია — 3-3, საქართველო — 2, უკრაინა — 1, ნიდერლანდები — 0 გამარჯვება.

**საქართველოს კალენდარი:**

**24 აგვისტო.** საქართველო — ნიდერლანდები. **27 აგვისტო.** იტალია — საქართველო. **11 ნოემბერი.** ისლანდია — საქართველო. **14 ნოემბერი.** საქართველო — იტალია. **23 თებერვალი.** ნიდერლანდები — საქართველო. **26 თებერვალი.** საქართველო — ისლანდია.

◎ ტატამზე

# ჯერჯერობით — უტიტულოდ

**ბუდაპეშტის გრანდ სლემის მეორე საშეჯიბრო დღეს ლაშა შავდათუაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.**



73 კგ წონით კატეგორიაში ოლიმპიური ჩემპიონი პირველ წრეში თავისუფალი იყო, ხოლო მეორეში ამერიკელ დომინიკ როდრიგესს აჯობა. შემდეგ მან მონღოლი ოდბაიარ განბაატარი და იტალიელი ფაბიო ბაზილეც დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც პოლონელ ადამ სტოდოლსკისაც სძლია. ლაშა ფინალში აზერბაიჯანელ ჰიდაიათ ჰეიდაროვს შეხვდა, რომელთანაც დამატებით დროში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

81 კგ წონით კატეგორიაში გიორგი შერაზადიშვილი და ზაურ დვალიშვილი უმედლოდ დარჩნენ. შერაზადიშვილმა პირველ წრეში ბრიტანელი ლაჩლან მურჰიდი დაამარცხა, მაგრამ მეორეში საამიროების სახელით მოასპარეზე ქართველ ნუგზარ ტატალაშვილთან მარცხი განიცადა და ასპარეზობა დაასრულა. დვალიშვილმაც შეძლო პირველი წრის დაძლევა უნგრელი ბენდეგუზ დემეტერის ძლევით, მაგრამ შემდეგ აზერბაიჯანელ სელიმ ტაკაევთან წააგო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს აქტივში ამ დროისთვის 3 მედალია, რადგა.ნ სტარტზე 60 კილოში **ლუხუმ ჩხვიმიანმა** ვერცხლი, ხოლო **თემურ ნოზაძემ** ბრინჯაო მოიპოვეს.

◎ ფორუმი

# წლეულსაც, გაისადაც

**შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში მოეწყო ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეინ-რაუნდის წილისყრა, რომლის შედეგადაც ნაკრებები თორმეტ სამგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ.**

„ჯვაროსნები“ მეორე ტრიოში ბელგიასთან და ავსტრიასთან ერთად ითამაშებენ, რაც გამართლებად უნდა მივიჩნიოთ. ელიტრაუნდის საგზურს თითოეული სამეულის გამარჯვებული და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი მოიპოვებს, ხოლო დანარჩენი მეორეადგილოსნები დასაწინაურებლად ბრძოლას პლეიოფში გააგრძელებენ.

რაც შეეხება მეინ-რაუნდის მატჩებს, ისინი ორ წრედ წლეულს შემოდგომაზე და გაისად მარტში გაიმართება.




◎ კორტზე

# კუნთის ნაამბობი

**უიმბლდონის კვანძი დრამატულად გაიხსნა — ნადალისა და ჯოკოვიჩის ფინალი, რომელიც მათი შეხვედრების ისტორიაში მე-60 უნდა ყოფილიყო და ესპანელს ანგარიშის გათანაბრების შანსი უნდა მისცემოდა, სამომავლოდ გადაიდო (29:30).**

მალიორკელმა ამერიკელ ტეილორ ფრიცთან 5-სეტიან მარათონში მძიმე გამარჯვების შემდეგ სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა, რომელმაც მუცლის კუნთის 7-მილიმეტრიანი ნახეთქი ჭრილობა დაუდგინა.

მართალია, რაფა მაინც იმედიანად იყო განწყობილი და მეორე დღეს ივარჯიშა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ტურნირიდან მოიხსნა და შესაბამისად, ავსტრალიელი ნიკ კირგიოსი კარიერაში პირველად უბრძოლველად გავიდა დიდი მუზარადის ტურნირის ფინალში.

**„მუხლის არეში ტკივილები მტანჯავს, ამიტომ ვერ გავრისკავ. მე რომ ნახევარფინალში ვითამაშო, კორტზე რამდენიმე თვე ველარ გავალ. ძალზე ვწუხვარ ამ ყველაფრის გამო, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა მიმეღო“** — განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე გრუნტის მეფემ.



**„კარიერაში რამდენჯერმე მითქვამს უარი თამაშზე ტრავმის გამო, რასაც ვერ ვიტან. რაც შეეხება სამედიცინო დახმარებას, ექიმი ამ დროს შეზღუდულია შესაძლებლობებში და მხოლოდ ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები მომცა, ხოლო ფიზიოთერაპევტი შეეცადა ოდნავ მოედუნებინა ჩემი კუნთები, მაგრამ ეს რთული ამოცანაა. ვერაფერს იღონებ, როცა ასეთი რამ გჭირს. დიახ, არაა იოლი ტურნირიდან, მით უმეტეს — უიმბლდონიდან გამოთიშვა, მაშინაც კი, როდესაც ტკივილს განიცდი“** — ესეც დიდი სლემის რეკორდსმენის (22 ტიტული) სიტყვებია.

სხვათა შორის, ზოგიერთმა, მაგალითად იტალიელმა კოლეგამ ფაბიო ფონინიმ იგი სიმულაციაში დაადანაშაულა, რაც მოგვიანებით შედარებით შეარბილა და განმარტა, რომ მისი ნათქვამი არასწორად გაიგეს და პირენეელის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა მისი ამერიკელი მეტოქე ასეთ ეჭვს არ იზიარებდა: **„არ ვფიქრობ, რომ მან ტრავმა მოიგონა ან რაღაც ამდაგვარი. სწორედ ტკივილების გამო იკლო მისი მოწოდებების სიჩქარემ, მაგრამ მესამე, მეოთხე და მეხუთე სეტებში დაცვაში ბურთს მაინც საოცრად იღებდა.“**

ასეა თუ ისე, ნოვაკს მწვანე შუქი აენთო მორიგი ტრიუმფისკენ და მასპინძელ კამერონ ნორისთან თითქმის უპრობლემო გასეირნების შემდეგ — 3:1 (2:6, 6:3, 6:4, 6:4) კიდევ ერთხელ შეუტია წოდებას.

სენსაციურად განვითარდა მოვლენები ქალთა ტურნირში, სადაც ყაზახმა ელენა რიბაკინამ მწარე მარცხი აგემა ჯერ ფავორიტ რუმინელს, უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონს სიმონა ჰალეპს — 2:0 (6:3, 6:3), ხოლო ფინალში — მსოფლიოს მესამე ტუნისელ ჩოგანს ონს ჟაბურს — 2:1 (3:6, 6:2, 6:2). იგი პირველი აზიელია, ვინც ასეთ ხმაურიან წარმატებას მიაღწია.



ეროვნულ არქივში წიგნის „LIBER AMICORUM“ - მინდია უგრეხელიძე 80“ პრეზენტაცია გაიმართა

# ქართულ-ევროპული სამართლის აკადემიკოსი

**„LIBER AMICORUM მინდია უგრეხელიძე 80“ — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც მკითხველს ღვაწლმოსილი ქართველი იურისტის, აკადემიკოს მინდია უგრეხელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოუთხრობს. წიგნის პრეზენტაცია მეცნიერის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.**

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტური და საარქივო მასალა, ბიოგრაფიული დეტალების გარდა, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის უახლეს ისტორიას ასახავს. ქართული იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებისა და დიპლომატიის ისტორიის გარდამტეხ ეტაპებთან ერთად, წიგნი აცოცხლებს იმ გზას, რომელიც საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ევროპულ სამართლებრივ სივრცეში გაიხსნა.

მინდია უგრეხელიძე იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველი ქართველი მოსამართლე და ევროსაბჭოს ამ წამყვან ინსტიტუტთან საქართველოს სამართლებრივი თანამშრომლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი სხვადასხვა დროს გახლდათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, „იურისტთა მსოფლიო ასოციაციის“, „სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციისა“ და „ვენეციის კომისიის“ წევრი, ასევე, 2009 წლიდან ევროსაბჭოს სისტემაში მოქმედი თბილისის პოლიტიკური სკოლის ექსპერტი.



ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებას დღეს მინდია უგრეხელიძე იუსტიციის სამინისტროში მინისტრის მრჩევლის სტატუსითაც განაგრძობს. ის სამინისტროს ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალ „იუსტიციის“ რედაქტორია, რომლის მიზანი მეცნიერებაზე დაფუძნებული კანონმდებლობის განვითარება და სამართლებრივ საკითხებზე აკადემიური დისკუსიის გაღრმავებაა. ცნობილი მეცნიერი აქტიურად მონაწილეობს სამართალშემოქმედებით პროცესში სამეცნიერო პოტენციალის მოზიდვაშიც, რაც იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამ თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ წიგნის პრეზენტაციაზე.

**„ბატონმა მინდიამ ერთ-ერთი წამყვანი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში; იგი არის ქართველი იურისტების არაერთი თაობის აღმზრდელი და წარუშლელ კვალს ტოვებს ქართული სამართლის განვითარებაში.**

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველმა მოსამართლემ უშუალო მონაწილეობა მიიღო ევროპული ღირებულებების ფორმირებაში და ჩვენ თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ბატონი მინდია უგრეხელიძე არის ადამიანის განსახიერება, რომელიც არის „ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი“. ჩვენ წილად გვხვდა პატივი, რომ მივიღოთ რჩევები ბატონი მინდიასგან. მინდა, გულითადად მივულოცო იუბილე და ვუსურვო ყოველივე საუკეთესო“,** — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

წიგნი გამოსაცემად კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა ბექა ქანთარიამ მოამზადა. პრეზენტაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებითა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიებას აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წევრები, ჟურნალისტები, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და მინდია უგრეხელიძის სტუდენტები ესწრებოდნენ.

# თეა ჭანკოტაძე-ბუილიშვილი

**საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს ჩვენს სამეგობროსა და უბანს — უახლოეს მეგობარს, სიყვარულითა და სიხარულით სავსე ოჯახს — ვახტანგ ჭანკოტაძესა და მედეა ანდღულაძეს — გარდაეცვალათ ქალიშვილი**



## თეა ჭანკოტაძე-ბუილიშვილი.

**შესანიშნავმა ოჯახმა დაკარგა ულამაზესი, თავისი სიკეთითა და სიალალით ცნობილი, სამი შვილისა და ერთი შვილიშვილის დედა და ახალგაზრდა ბებია. თეა ჩვენ თვალწინ იზრდებოდა, ჩამოყალიბდა უსაზღვრო სიყვარულითა და ინტელექტით სავსე პიროვნება. უსაზღვრო სითბოს ამჟღავნებდა პატარების მიმართ, რაც საქმითაც დაამტკიცა — თავისი თავდაუზოგავი შრომითა და მონდომებით ჩამოაყალიბა და უძღვებოდა ბავშვთა სათამაშოების საწარმოს, უხაროდა, რომ მისი შრომის ნაყოფი უდიდეს სიხარულს ანიჭებდა პატარებს.**

**უფალს შევთხოვთ, გამძლეობა მისცეს ამ ლამაზი პიროვნების დაკარგვით გულდათუთქულ ოჯახს, ნათელში დაუმკვიდროს ადგილი ჩვენი თეას სულს.**

ოჯახის მეგობრები და მეზობლები

**როსტომ ალავიძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ჯუმბერ ბრეგვაძე, ნინო გოგოლიშვილი, ომარ კაჭარავა, ნანა ჟორდანია, ნანა კიკნაძე, მერაბ რატიშვილი, ნუგზარ ყაველაშვილი, გიორგი შენგელია, გიორგი წულეისკირი, მარინე ჭიჭინაძე.**

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი, უკეთილშობილესი ადამიანი და დიდი პროფესიონალი**



## მედეა ქართველიშვილი

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და სანათესაოს. გამოსვენება 12 ივლისს, სამშაბათს, 14 სთ-ზე, მისამართი: თამარ აბაკელიას ქ. №13 (მთაწმინდის რაიონი).**

 შავი იუმორი

# მენშევიკების „თითო ბოთლიდან“ კოლექტიურ ვარდენამდე

**ისტორიას ნამდვილად ნაყვარევა განმეორება!**

ზესტაფონი. 1921 წლის გიორგობისთვე. ყვირილას პირას, ნესტორიას დუქანში ოთხი მენშევიკი ჯავრიან გულზე თითო ბოთლს წრუპავს.

— გეიხედე, ერთი, სევარიონ, რას შობა ამინდი? (გადასწევს ფარდას)

— გაწვიმებულა, ბოლშევიკების დედაც...

ზესტაფონი. 2022 წლის ივანობისთვე. — ბეგლარას ცოლს მოულოგინებია.

— ბეგო, ბიჭია, ხომ?

— გოგოა! გოგო! ივანიშვილს, მოსკოვის ხათრით, ბიჭები ხელს არ აძლევს!

**თბილისი.** 2022 წლის 3 ივლისი. გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგი პარლამენტის წინ.

წამყვანი: მეგობრებო, ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობა, 85 პროცენტი, ადგენს შემდეგს: გადაყენებულ იქნეს სამარცხვინო პრემიერ-მინისტრი მიტაცებული თანამდებობიდან!

ზარი ყოფილი მოქალაქის, ბრალდებული საააკაშვილისგან: არავითარი მხოლოდ ღარიბაშვილის გადადგომა! გადაყენებულ იქნეს მთელი მთავრობა! დაწესდეს კვოტები ე. წ. „ტექნიკური მთავრობის“ დასაკომპლექტებლად: მთავრობის თავმჯდომარე — ნაციონალური მოძრაობა, ვიცე-პრემიერი — ნაციონალური მოძრაობა, ფინანსთა მინისტრი — ნაციონალური მოძრაობა (სასურველია, სანიკიძე), კულტურის მინისტრი — ნაციონალური მოძრაობა, სამხედრო მინისტრი — ნაციონალური მოძრაობა, განათლების მინისტრი — „ევროპული საქართველო“, იუსტიციის მინისტრი — „სტრატეგია აღმაშენებელი“, ტურიზმი — მოქალაქეები, ჯანდაცვის მინისტრი — „გირჩი“, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — „ლელო“.

წამყვანი: ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამჯერად ვერ მოხერხდება ხელისუფლების ჩანაცვლება (რაც ნაკლებ სავარაუდოა) და საქმე მივა გადაუდებელ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე, აქცენტი გადავიტანოთ ე. წ. მესამე ძალაზე, რომელიც ჩამოყალიბდება ელექტორატის საკმაოდ ფართო სპექტრზე,რომელთაც დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ — ვის მისცენ ხმა: ნაცებს თუ ქოცებს!

**კადრი „უდიპლომო სასიძოდან“.**

**ნანი** (მამას)“: ბიჭიკო იმუშავებს, ბიჭიკო იმუშავებს!

— ვის გაუგონია, გოგო, ბიჭიკოს მუშაობა?!

**ნიკოლოზი:** ჩემთან არავინ შემოუშვათ! დისერტაციაზე მაქვს სამუშაო — „მუსიკის როლი პირუტყვის წველადობის ამაღლების საქმეში“.

**ვარდენი:** ჰო, დისერტაციაზე უნდა იმუშაოს! მუსიკის როლი... ააა?! ამას უნდა გავაყოლო ჩემი შვილი? არა, არა! გავგიჟდები! ნამდვილად გავგიჟდები!

**ბიჭიკო:** როგორა ხარ, ძია ვარდენ?

**ვარდენი:** ბიჭიკო! მოდი, შვილო, მოდი! შენ ყოფილხარ ჩემი მშველელი!



**გიზო ზარნაძე**

# უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა

**უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი, 47 წლის კახა გოგოლი დაიღუპა. ქართველი მებრძოლი უკრაინაში ომის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ წავიდა და ლუგანსკის ოლქში იბრძოდა.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ის 10 ივლისს, გამთენიისას რუსების საჰაერო თავდასხმას ემსხვერპლა. ქართველი მებრძოლის დაღუპვის შესახებ ინფორმაციას ადასტურებს უკრაინაში საქართველოს ელჩი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი პროცედურები დაიწყო. უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიას უკვე 17 ქართველი მებრძოლი ემსხვერპლა.**





# „ქართული ღვინო“, როგორც გლობალური ბრენდი

**აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია ვაშინგტონში და ნიუ იორკში ქართული ღვინის ექსპორტიორებს, მაღაზიების მფლობელებს და მარკეტინგული კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა.**

მარკეტინგული კომპანიის „კოლანჯელო და პარტნერს“ ოფისში გამართულ შეხვედრაზე, ოთარ შამუგიამ მათი ხედვები მოისმინა და იმედი გამოთქვა, რომ, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, „კოლანჯელო და პარტნერსი“ აქტიურად იმუშავებს მარკეტინგულ და პოპულარიზაციის გეგმებზე, რომელიც მიმართულია ქართული ღვინის აშშ-ს ბაზარზე ცნობადობის ამაღლებისკენ, რაც უდავოდ აისახება ქართული ღვინის საექსპორტო გაყიდვების ზრდაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. „კოლანჯელო და პარტნერსი“ ერთ-ერთი საერთაშორისო მარკეტინგული კომპანიაა, რომელსაც 25-წლიანი გამოცდილება აქვს.

ნიუ იორკში, საქართველოს გენერალურ საკონსულოში გამართულ შეხვედრაზე, სადაც როგორც ღვინის ექსპორტიორები, ასევე საერთაშორისო მარკეტინგული კომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დეტალურად განიხილეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლების სტრატეგია. როგორც ოთარ შამუგიამ აღნიშნა, ამერიკაში ქართული ღვინის წარმატებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ქართული ღვინის კომპანიებისა და ამერიკელი იმპორტიორების, დისტრიბუტორებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლების დაკავშირება, ამავე დროს, ამერიკაში მოღვაწე იმპორტიორ-დისტრიბუტორების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობაა საერთაშორისო მარკეტინგული კომპანიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

**ოთარ შამუგია, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, დავით ზალკალიანთან ერთად, ვაშინგტონში მდებარე ღვინის მაღაზიაში „Bach 13“ ქართული ღვინის გაყიდვების მაჩვენებლებით და არსებული პოტენციალით დაინტერესდა. როგორც მაღაზიის მეპატრონემ, გიგა გრიგოლიამ აღნიშნა, მაღაზია ამერიკელ მომხმარებელს საქართველოდან 30-მდე კომპანიის ღვინოსა და ალკოჰოლური სასმელების ასორტიმენტს სთავაზობს. მისივე თქმით, ქართული ღვინის მიმართ ინტერესი, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით გაიზარდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი აქვს ქართული ღვინის 8-ათასწლოვან ისტორიას.**

# მარიამ ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანის“ დღესასწაული

**11 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანის“ ხსენებას.**

ცნობილია, რომ ზემოთ ხსენებული ხატი მთხოვნელს უსრულებს თხოვნას ხელების, ფეხების სნეულებისას, სულიერი მღელვარების, ხანძრის დროს. 717 წელს წმინდა იოანე დამასკელს დამასკოს მთავრის წინაშე ცილი დასწამა ხატმებრძოლმა იმპერატორმა ლეონ ისავარიანმა. მთავარმა საქმის გამოუძიებლად ხელი მოჰკვეთა წმინდანს და ყველას დასაშინებლად მოედანზე დაჰკიდა. როცა მთავრის მრისხანება დაცხრა, წმიდა იოანემ თავისი ხელი გამოითხოვა მისგან და სენაკში ჩაიკეტა... ძალიან დიდხანს ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე! ბოლოს ჩაეძინა; ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა სიზმარეულ ხილვაში და აუწყა, რომ ხელი განეკურნა. წმიდა იოანეს ბრძანებით ვერცხლისგან ჩამოასხეს ხელის მტევანი, რომელიც წმინდანმა ხატს შესწირა. სწორედ აქედან მოდის სახელწოდება „სამხელიანი“, რომელიც შემდეგში მრავალ სასწაულს აღასრულებს.




დღევანდელი ღვთისმშობლის ხატის შეწევნა მინდა ვუსურვო ჩემს საყვარელ ძმისშვილს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ამჟამად სან-დიეგოს უნივერსიტეტის (SDSU) მაგისტრანტს დავით ლიპარტიას, რომელსაც დღეს დაბადების დღე აქვს!

**გიული ლიპარტია**

# ქართული ფილმის ევროპული წარმატება



**ეროვნული კინოცენტრი საერთაშორისო კინოფესტივალზე მორიგი ქართული წარმატების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. კინოცენტრის ცნობით, იოსებ (სოსო) ბლიაძის ფილმში „ჩემი ოთახი“ შესრულებული როლისთვის საუკეთესო ქალი მსახიობის ჯილდო გადაეცათ თაკი მუმლაძესა და მარიამ ხუნდაძეს.**

ქართველი მსახიობები კარლოვი ვარის კინოფესტივალის დახურვის ცერემონიაზე ბენისიო დელ ტორომ დააჯილდოვა.

# ახალგაზრდებზე მოამაგე პედაგოგი და ორიგინალური მხატვარი



### ეროვნულ გალერეაში დიმიტრი ხახუტაშვილის დაბადებიდან 95 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა

ეროვნულ გალერეაში ქართველი მხატვრის და პედაგოგის, დიმიტრი ხახუტაშვილის დაბადებიდან 95 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს. 50-იანელთა თვალსაჩინო წარმომადგენლის გამოფენის გახსნას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. უწყების ცნობით, ექსპოზიციის ფარგლებში გამოიფინა მხატვრის ოჯახისა და ბიზნესმენ დავით ტატულაშვილის კოლექციებში დაცული, მხატვრის სხვადასხვა პერიოდის 80 ნამუშევარი და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან ერთი ფერწერული ტილო.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროს ინიციატივით, 2021 წლიდან დაწყებულია საზღვარგარეთ გატანილი ნახატების სამშობლოში დაბრუნების პროცესი. სამწუხაროდ, არაერთი მათგანი დაკარგულად ითვლება. 2022 წელს უკვე დაბრუნებულ ნახატთაგან ერთ-ერთი სწორედ დიმიტრი ხახუტაშვილის ნამუშევარია და იგი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება.

დიმიტრი ხახუტაშვილი 50-იანელთა თაობის ის შემოქმედია, რომელმაც, მიუხედავად საკუთარი წარმატებული კარიერისა, მთელი თავისი ენერგია პედაგოგობისკენ მიმართა — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არაერთი თაობა აღზარდა.

დიმიტრი ხახუტაშვილი თითქოსდა მიჩუმებულ შემოქმედებით ცხოვრებას ეწეოდა, იყო ძიებაში, მხოლოდ ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობდა, არ ცდილობდა პერსონალური გამოფენის მოწყობას. მხატვრის შემოქმედების სრული სპექტრის წარმოჩენა მოულოდნელი აღმოჩნდა ხელოვნებათმცოდნეებისთვის. ათეულობით ფერწერული, გრაფიკული ნამუშევარი, წიგნის ილუსტრაციები, ესკიზები თითქმის უცნობი იყო საზოგადოებისთვის.

სიმბოლურია, რომ მოცემული გამოფენაც სამხატვრო აკადემიის დაფუძნების 100 წლისთავზე გაიხსნა და ის ამგვარად პატივს მიაგებს ახალგაზრდებზე მოამაგე პედაგოგებს. დიმიტრი ხახუტაშვილის 95 წლისადმი მიძღვნილი გამოფენის ნახვას დამთვალიერებელი 6 აგვისტოს ჩათვლით შეძლებს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე —
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 13 ივლისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8896; ევრო - 2.9327
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4649;
100 რუბლი - 4.5856; თურქული ლირა - 0.1736;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7052;
1000 სომხური დრამი - 7.0221.

**ამინდი 11 ივლისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე +36 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge